

პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელო

საქართველოს მიკრო, მცირე და
საშუალო ზომის საწარმოების
დახმარება და აღდგენა (P173975)

აწარმოე საქართველოში
(საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო)

2021 წლის 9 ნოემბერი

შემოკლებები და აკრონიმები

CO	კონტრაქტორი ორგანიზაცია
DA	სპეციალური ანგარიში
EAC	საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი
ECPCGC	აღმოსავლეთ კარიბის ნაწილობრივი საკრედიტო გარანტიის კორპორაცია
EG	აწარმოე საქართველოში
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
E&S	გარემოსდაცვითი და სოციალური
ESCP	ეკოლოგიური და სოციალური ვალდებულების გეგმა
ESF	გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო
ESMF	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო
ESS	ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტი
EU	ევროპის კავშირი
EUR	ევრო
FX	უცხოური ვალუტა
GHG	სათბურის გაზი
GOG	საქართველოს მთავრობა
HR	ადამიანური რესურსები
ID	იდენტიფიკაცია
ID4D	იდენტიფიკაცია განვითარებისთვის
IDP	იმულებით გადაადგილებული პირი
IPS	მომენტალური გადახდის სისტემა
KCFG	კოსოვოს საკრედიტო საგარანტიო ფონდი
KYC	გაიცანი შენი მომხმარებელი
LA	სასესხო ხელშეკრულება
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
M&E	მონიტორინგი და შეფასება
MEPA	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MFI	მიკროსაფინანსო დაწესებულება
MOESD	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MOF	ფინანსთა სამინისტრო
MOJ	იუსტიციის სამინისტრო
MSMEs	მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები

NAPR	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NBG	საქართველოს ეროვნული ბანკი
NPL	უმოქმედო სესხი
PAD	პროექტის შეფასების დოკუმენტი
PBC	შესრულებაზე დაფუძნებული პირობა
PIE	პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია
PIU	პროექტის განმახორციელებელი გუნდი
PFI	მონაწილე ფინანსური დაწესებულება
POS	გაყიდვის პუნქტები
PSDA	საჯარო სამსახურის განვითარების სააგენტო
RTGS	რეალურ დროში მთლიანი ანგარიშსწორების სისტემა
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
SOE	ხარჯების ანგარიში
SMEs	მცირე და საშუალო საწარმოები
TA	ტექნიკური დახმარება
UK	გაერთიანებული სამეფო
VAT	დამატებითი ღირებულების გადასახადი
WBG	მსოფლიო ბანკის ჯგუფი

სარჩევი

შესავალი.....	1
პროექტის აღწერა	2
1.2. როლები და პასუხისმგებლობები პროექტის განხორციელებისთვის.....	6
შედეგების ჩარჩო.....	7
2. ქვეკომპონენტი 1.1 – გრანტები მიკრო და მცირე საწარმოებისთვის	11
2.1. პროგრამის მახასიათებლები.....	11
2.2. განხორციელების სქემა და კონტრაქტორების შერჩევა	12
2.4. პროცესები: გრანტის მიღება და საგრანტო განაცხადების განხილვა.....	18
3. ქვეკომპონენტი 1.2 – პროცენტის გადახდის თანადაფინანსება.....	29
3.2. პროგრამის მახასიათებლები.....	29
3.3. განხორციელების სქემა და კერძო საფინანსო ინსტიტუტის შერჩევა.....	30
3.4. ბენეფიციარების დასაშვებობის კრიტერიუმები	36
3.5. პროცესები: საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიღება.....	37
3.6. განხორციელების სხვა ასპექტები.....	41
4. ქვეკომპონენტი 1.3 – ნაწილობრივი საკრედიტო გარანტიები	43
4.2. პროგრამის მიმოხილვა - საკრედიტო - საგრანტო პირობები.....	43
4.3. პროგრამის მიმოხილვა - სახსრების მოძრაობა	45
4.4. ორგანიზება და PFI-ების შერჩევა	47
4.5. ბენეფიციარისთვის განსაზღვრული კრიტერიუმები	52
4.6. პროცესები: ნაწილობრივი საკრედიტო გარანტიების მიღება	54
4.7. განხორციელების სხვა ასპექტები.....	58
5. ქვეკომპონენტი 1.4 - COVID-ის ნეგატიური გავლენის შემცირება და გაციფრულების მხარდაჭერა	63
6. ქვეკომპონენტი 2.2 - e-KYC და სტანდარტის „იკნობდე შენს მომხმარებლებს“ რეესტრი	66
7. ქვეკომპონენტი 2.3 - დაცული ტრანზაქციების რეფორმა.....	66
8. კომპონენტი 3 - პროექტის მენეჯმენტი და მონიტორინგი	67
9. კომპონენტი 4 - გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტი (CERC)....	67
10. გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტი	68
10.1. შესავალი.....	68
10.2. პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები (ESS)	69
10.3. მოქმედი ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.....	72
10.4. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური მოწყობა.....	72
10.6. ეკოლოგიური და სოციალური პროცედურები, რომლებიც გამოიყენება 1.1 ქვეკომპონენტზე.....	75
10.7. გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურები, რომლებიც გამოიყენება 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებზე.....	79
10.8. პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულების შესახებ მოხსენება...	81

10.9.	საჩივრების განხილვის მექანიზმი	81
11.	შესრულებაზე დამოკიდებული პირობები (PBCs)	82
11.1.	PBC-ები საგრანტო პროგრამის გასაძლიერებლად (PBC 1).....	83
11.2.	PBC-ები პროცენტის თანადაფინანსების პროგრამის გასაძლიერებლად (PBC 2)	85
11.3.	PBC-ები საკრედიტო საგრანტო სქემის გასაძლიერებლად (PBC 3).....	88
12.	მონიტორინგი და შეფასება	91
12.1.	პროექტის ანგარიშები	91
12.2.	პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და შენახვა	91
12.3.	მოქალაქეების ჩართულობა.....	94
12.4.	მონიტორინგისა და შეფასების გეგმა.....	94
13.	შესყიდვა.....	107
13.1.	მიმოხილვა.....	107
14.	ფინანსური მენეჯმენტი და თანხების გაცემა.....	113
დანართი 1.	შესყიდვის გეგმა (2021 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით).....	123
დანართი 2.	ვალდებულებები ეტაპობრივი შესყიდვის შესახებ.....	125
დანართი 3.	დეკლარაცია მიუკერძოებლობისა და კონფიდენციალურობის შესახებ..	147
თარიღი:		147
დანართი 4.	მოკლე ინფორმაცია პროფესიონალთათვის გარემოსდაცვითი და სოციალურ საკითხებში	148
დანართი 5.	მსოფლიო ბანკის ჯგუფის არაჩართული საქმიანობების სია (Exclusion List) 161	
დანართი 6. 1.1.	ქვეკომპონენტის სკრინინგის შაბლონი.....	163
დანართი 7. 1.2. და 1.3.	ქვეკომპონენტების სკრინინგის შაბლონი	165

შესავალი

2021 წლის 11 მაისს მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა 'საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარება და აღდგენის' პროექტი. ეს არის 85 მილიონი ევროს ღირებულების ხუთწლიანი პროექტი, რომელიც დაფინანსებულია რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) მიერ, 2025 წლის 31 დეკემბრის დასრულების თარიღით. პროექტის მიზანია მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს (MSMEs) დახმარება მათთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ხელსაყრელი გარემოს გაძლიერებით. პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MOESD), ხოლო განმახორციელებელი ორგანიზაციები (PIE) არიან სსიპ "აწარმოე საქართველოში"(EG) და საქართველოს ეროვნული ბანკი (NBG).

პროექტის ოპერაციულ სახელმძღვანელოში (POM) მოცემულია პროექტის მიწოდების მექანიზმები, რათა უზრუნველყოს პროექტის მიზნების ეფექტური მიღწევა მსოფლიო ბანკის მოქმედი პოლიტიკისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ეს სახელმძღვანელო მოიცავს ყველა აქტივობას პროექტის ფარგლებში, გარდა ქვეკომპონენტის 2.1-ისა, რომლისთვისაც არსებობს ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული გადახდის სისტემების სახელმძღვანელო და კომპონენტი 4-ისა, რომლისთვისაც იქნება ცალკე შემუშავებული CERC სახელმძღვანელო, რომელიც დაემატება ამ POM-ს. ამ POM-ის მთავარი მიზანია საჯარო მოხელეებს, პროექტის მენეჯმენტის გუნდს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპები პროექტის ყოველდღიური ადმინისტრირების შესახებ და აღწეროს პასუხისმგებლობათა განაწილება ჩართულ მხარეებს შორის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კოორდინაცია და პროექტის ეფექტური, სწრაფი და დროული შესრულება. POM-ი არის ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც მუდმივად განახლდება. POM-ში შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები და დამატებები, რათა აისახოს ახალი მოვლენები და უზრუნველყოფილი იქნეს პროექტის ეფექტური და ხარისხიანი განხორციელება. ცვლილებები ამ POM-ში შეიძლება ინიცირებული იყოს ფინანსთა სამინისტროს (MOF), MOESD-ის და/ან „აწარმოე საქართველოში“-ის მიერ და არ იწვევს წინააღმდეგობას მსოფლიო ბანკისგან.

ამ POM-ში განსაზღვრული სახელმძღვანელო მითითებები და პროცედურები შეესაბამება სასესხო ხელშეკრულებას (LA), პროექტის შეფასების დოკუმენტს (PAD), შესყიდვების სახელმძღვანელო პრინციპებს და მსოფლიო ბანკის შესაბამის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს (ESS). ამ POM-ის სამართლებრივი საფუძველია 2021 წლის 17 მაისის LA No. 9239-G საქართველოსა და IBRD-ს შორის, პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელოს რომელიმე დებულებასა და წინამდებარე შეთანხმების დებულებებს შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე შეთანხმების დებულებებს. POM-ი იძლევა დეტალურ

მითითებებს ფინანსური მენეჯმენტის, შესყიდვების და კონტრაქტების მართვის, E&S მენეჯმენტის, მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების შესახებ.

1.1. პროექტის აღწერა

1.1.1. პროექტის მიზანი

პროექტის მიზანი (PDO) არის მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარება და მათი ფინანსებზე ხელმისაწვდომობისათვის . ხელსაყრელი გარემოს გაძლიერება

შემოთავაზებული PDO დონის მაჩვენებლებია:

ა. COVID-19 პანდემიით დაზარალებული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის გაცემული ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა

ბ. „გადარჩენის კოეფიციენტი“: არააქტიური ბიზნესების თანაფარდობა „აწარმოე საქართველოში“-ს ბენეფიციარების საერთო რაოდენობასთან გაყოფილი არააქტიური ბიზნესების თანაფარდობაზე ეკონომიკაში მოქმედი ბიზნესების საერთო რაოდენობასთან.

გ. შემოსავლის მულტიპლიკატორი: პროექტის ბენეფიციართა შემოსავლების საშუალო შეწონილი წლიური ცვლილების თანაფარდობა მათ შესაბამის სექტორში შემოსავლის საშუალო ცვლილებასთან.

დ. ახალი მომენტალური გადახდის სისტემის გამოყენებით განხორციელებული ციფრული ტრანზაქციების რაოდენობა (* ეხება ეროვნული ბანკის მიერ დანერგილი 2.1 ქვეკომპონენტს)

ე) მოძრავი უზრუნველყოფის განახლებული რეესტრის შექმნა.

1.1.2. პროექტის კომპონენტები

კომპონენტი 1: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური დახმარება და აღდგენა (68 მილიონი ევრო) - კომპონენტი ხელს შეუწყობს „აწარმოე საქართველოში“-ს მიერ განხორციელებული შემდეგი პროგრამების გაფართოებას: (ა) მიკრო გრანტები „აწარმოე საქართველოში“-ს მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, (ბ) სესხის პროცენტის თანადაფინანსება „აწარმოე საქართველოში“-ს პროგრამის ფარგლებში და (გ) საკრედიტო-საგარანტიო სქემა. კომპონენტი ასევე

უზრუნველყოფს ტრენინგებსა და ტექნიკურ დახმარებას, კომპანიების ბიზნეს უნარებისა და მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით.

- **ქვეკომპონენტი 1.1: გრანტები მიკრო და მცირე ფირმებისთვის (25.2 მილიონი ევრო)** - ეს ქვეკომპონენტი დააფინანსებს გრანტებს რომელიც განკუთვნილია COVID-19 პანდემიით დაზარალებული მიკრო და მცირე ბიზნესებისთვის დაასევე იმ მეწარმეებისათვის, რომლებიც ეძებენ ახალ ბიზნეს შესაძლებლობებს.

- **ქვეკომპონენტი 1.2: სესხის პროცენტის თანადაფინანსება (12.8 მლნ ევრო)** - ეს ქვეკომპონენტი დააფინანსებს “აწარმოე საქართველოში“-ს სესხის პროცენტის თანადაფინანსების მექანიზმს.

- **ქვეკომპონენტი 1.3: საკრედიტო საგარანტიო სქემა (25 მილიონი ევრო)** - ქვეკომპონენტი დააფინანსებს საკრედიტო საგარანტიო სქემას და გაუწევს სააგენტოს ტექნიკურ დახმარებას შემოთავაზებული საკრედიტო საგარანტიო სქემის გაძლიერების მიზნით

- **ქვეკომპონენტი 1.4: COVID-ისგან დაცვისა და გაციფრულების მხარდაჭერა (5 მილიონი ევრო)** - ეს ქვეკომპონენტი მოიცავს ტექნიკური დახმარების ფარგლებში ტრენინგის მოდულების შემუშავებას და კომპანიების ბიზნესის მართვის უნარების და ციფრული შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით.

კომპონენტი 2: ციფრული გადახდები და ფინანსური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია (12 მილიონი ევრო) - პროექტი დააფინანსებს ინვესტიციებს ფინანსური ინფრასტრუქტურის გასაძლიერებლად და ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენების გაზრდის მიზნით.

- **ქვეკომპონენტი 2.1: გადახდის ინფრასტრუქტურის განახლება (6 მილიონი ევრო)** - ქვეკომპონენტი დააფინანსებს ინვესტიციებს, საოპერაციო ხარჯებს და ტექნიკურ დახმარებას მომენტალური გადახდის სისტემის (IPS) დანერგვისთვის, ასევე ტექნიკურ დახმარებას გაცნობისა და მომხმარებლის დაკავშირების მხარდასაჭერად. ქვეკომპონენტი ასევე ხელს შეუწყობს რეალურ დროში მთლიანი ანგარიშსწორების შესაძლო განახლებებს და დაეხმარება ეროვნულ ბანკს გახდეს კვალიფიციური სერტიფიცირების ორგანო ციფრული სერტიფიკატების უსაფრთხო გამოყენების უზრუნველსაყოფად.

- **ქვეკომპონენტი 2.2: e-KYC და იცოდე შენი კლიენტების რეესტრი (4,3 მილიონი ევრო)**
- ეს ქვეკომპონენტი დააფინანსებს ინვესტიციებს e-KYC ინფრასტრუქტურისთვის, იცოდე შენი კლიენტის (KYC) რეესტრისთვის და e-KYC ინფრასტრუქტურისთვის.

- **ქვეკომპონენტი 2.3: დაცული ტრანზაქციების რეფორმა (1.7 მილიონი ევრო)** - ქვეკომპონენტი დააფინანსებს ტექნიკურ დახმარებას და ინვესტიციებს, რომლებიც საჭიროა (ა) უზრუნველყოფილი სესხების მარეგულირებელი ჩარჩოს გასაუმჯობესებლად, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავების ჩათვლით (0.7 მილიონი ევრო); ბ) უზრუნველყოფის რეესტრის მოდერნიზაცია, ონლაინ რეესტრის ტექნიკური მახასიათებლების მომზადება და სპეციალიზებული პროგრამული გადაწყვეტის შეძენა (0,8 მილიონი ევრო); და (გ) მომხმარებლის შესაძლებლობების გაზრდა (0.3 მილიონი ევრო).

კომპონენტი 3. პროექტის მენეჯმენტი და მონიტორინგი (4.8 მილიონი ევრო) - კომპონენტი 3 დააფინანსებს პროექტის მენეჯმენტს, განხორციელებას და მონიტორინგის საჭიროებებს.

კომპონენტი 4 - საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტი (CERC) (თავდაპირველად 0 მილიონი ევრო) - არის არადაფინანსებული საგანგებო კომპონენტი, რომელიც შეიძლება გააქტიურდეს შესაბამისი საგანგებო მოვლენის შემთხვევაში.

პროექტის კომპონენტები და მათი ხარჯები ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

კომპონენტები (მლნ ევროში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)	PIE	არსებული	PBC	IBRD
კომპონენტი 1 - MSME-ების ფინანსური დახმარება და აღდგენა				68.0
ქვეკომპონენტი 1.1 – გრანტები მიკრო და მცირე ფირმებისთვის	EG (ბენეფიციარი)	☐	☐	25.2
ქვეკომპონენტი 1.2 – პროცენტის გადახდის თანადაფინანსება	EG (ბენეფიციარი)	☐	☐	12.8
ქვეკომპონენტი 1.3 – ნაწილობრივი საკრედიტო გარანტიები	EG (ბენეფიციარი)	☐	☐	25.0
ქვეკომპონენტი 1.4 – მხარდაჭერა COVID-ის საწინააღმდეგოდ და დიგიტალიზაციისთვის	EG (ბენეფიციარი)	☐	☐	5.0
კომპონენტი 2 - ციფრული გადახდები და ფინანსური ინფრასტრუქტურის განახლება				12.0
ქვეკომპონენტი 2.1 – გადახდების ინფრასტრუქტურის განახლება	NBG	☐	☐	6.0
ქვეკომპონენტი 2.2 – e-KYC და Know-Your-Customer Registry	EG (აგენტი)	☐	☐	4.3
ქვეკომპონენტი 2.3 – უზრუნველყოფილი ტრანზაქციების რეფორმა	EG (აგენტი)	☐	☐	1.7
კომპონენტი 3 - პროექტის მართვა და მონიტორინგი	EG	ა/გ	☐	4.8
კომპონენტი 4 - საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტი	ა/გ	ა/გ.	☐	0.0
ფრონტის საკომისიო	ა/გ	ა/გ	☐	0.2
პროექტის მთლიანი ღირებულება				85.0

პროექტი ითვალისწინებს, რომ 28 მილიონი ევროს გაცემა იქნება პირობითი და დამოკიდებული იქნება შესრულებაზე დაფუძნებული პირობების (PBCs) მიღწევაზე. PBC-ის ინდიკატორები სტრუქტურირებული იყო ამ მიზნების მისაღწევად სამფაზიანი ლოგიკის გარშემო: (i) მონიტორინგისა და შეფასების (M&E) ჩარჩოების გაუმჯობესება იმ მონაცემების უკეთესი შეგროვების, მონიტორინგისა და გამოყენებისთვის, რომლებიც ასახავს EG-ს საერთო სტრატეგიულ მიზნებს; (ii) მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების ჩართვა უკეთესი პროგრამის დიზაინისა და განხორციელების ღონისძიებებისთვის; და (iii) სტრატეგიულ და მდგრად შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების გაფართოების საფუძველი.

ცხრილი. შედეგებზე დაფუძნებული პირობების ლოგიკური ჩარჩო(PBCs)

1) მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო	2) მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამირება	3) სტრატეგიული ზრდა და მდგრადობა
მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოებისა და მონიტორინგის სისტემების შემუშავება, მათ შორის	პროგრამების დიზაინის კორექტირება, რათა ასახავდეს ახალ	წინადადებები და ინსტრუმენტები უკეთესი და უფრო მდგრადი

ძირითადი შესრულების ინდიკატორების, ზომებისა და ინსტრუმენტების დანერგვა, მონაცემთა სისტემების გაუმჯობესება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაცემების ჩართვის პროცესი.	მტკიცებულებებს, აქცენტი მიზნობრივი (ბენეფიციარები და სექტორები, ეროვნული პრიორიტეტები), დასაშვებობის კრიტერიუმები და განხორციელების ღონისძიებები.	შედეგების უზრუნველსაყოფად
---	---	---------------------------

სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, 1.1 ქვეკომპონენტისთვის, 1.2 ქვეკომპონენტისთვის და 1.3 ქვეკომპონენტისთვის PBC-ებთან დაუკავშირებელი ასიგნებები არ უნდა აღემატებოდეს თითოეულს 18 მილიონ ევროს.

1.2. როლები და პასუხისმგებლობები პროექტის განხორციელებისთვის

პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება MOESD-ს. პროექტის განხორციელების (PIU) სუბიექტებია EG და NBG.

EG ითამაშებს ორმაგ როლს პროექტში: (i) განახორციელებს აქტივობებს 1 კომპონენტის ფარგლებში, როგორც ბენეფიციარი; და (ii) შეასრულოს ქვეკომპონენტების 2.2 (e-KYC და KYC რეესტრი) და 2.3 (უზრუნველყოფილი ტრანზაქციები) ფიდუციარული ფუნქციები, როგორც MOESD-ის აგენტი.

პროექტის განსახორციელებლად EG ითანამშრომლებს კონტრაქტორებთან, მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებთან (PFIs) და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. ქვეკომპონენტისთვის 1.1 (მიკრო გრანტები), EG შეისყიდის და მოაწერს ხელს შერჩევის კონტრაქტებს კონტრაქტორ ორგანიზაციებთან, რომლებიც დაეხმარება EG-ს ბენეფიციართა შერჩევაში კანდიდატების შერჩევით, ტრენინგებისა და ინტერვიუების ორგანიზებით და ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ქვეპროექტების მონიტორინგით. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებისთვის (პროცენტები და PCG თანადაფინანსება), EG გააფორმებს მონაწილეობის ხელშეკრულებებს კომერციულ ბანკებთან, მიკროსაფინანსო ინსტიტუტებთან (MFI) და სალიზინგო კომპანიებთან, რომლებიც დაეხმარებიან EG-ს ბენეფიციარების იდენტიფიცირებაში სესხის შეფასების და სესხის გაცემის გზით, ასევე სესხების მონიტორინგითა და თანხების ამოღებით. 1.4 ქვეკომპონენტის განხორციელების მექანიზმები უნდა განისაზღვროს EG-ის მიერ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის პოტენციური ბენეფიციარებით, ბიზნეს ასოციაციებით, კონტრაქტორებით, დიგიტალიზაციისა და მენეჯმენტის პრაქტიკის სერვისის მომწოდებლებთან და PFI-ებთან. ეს დეტალურად იქნება აღწერილი ამ POM-ის მომავალ ვერსიებში.

იუსტიციის სამინისტროსთან (MOJ) კოორდინაციით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (MOESD) იქნება ტექნიკური წამყვანი ქვეკომპონენტი 2.2 -

ფარგლებში KYC-ის რეგისტრაციისთვის და ქვეკომპონენტისთვის 2.3 დაცული ტრანზაქციებისთვის, ხოლო EG უზრუნველყოფს ფიდუციურ მხარდაჭერას. MOESD იქნება ტექნიკური ლიდერი ამ ორი ქვეკომპონენტისთვის, იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინირებულად, რომელსაც აქვს ძირითადი პასუხისმგებლობა სამუშაო ჯგუფების მეშვეობით შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მოწვევაზე შემოთავაზებული რეფორმების წინსვლისთვის. EG შეასრულებს ფიდუციურ მოვალეობებს (შესყიდვები და ფინანსური მართვა). უფრო დეტალური ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროსთან და მის უწყებებთან თანამშრომლობის შესახებ (საჯარო სერვისების განვითარების სააგენტო KYC და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო დაცული ტრანზაქციების) და სამუშაო ჯგუფების სტრუქტურის/ფუნქციონირების შესახებ დეტალურად იქნება აღწერილი ამ POM-ის მომავალ ვერსიებში.

ვინაიდან პროექტის საქმიანობა ეფუძნება არსებულ პროგრამებსა და აქტივობებს, იმპლემენტაცია განხორციელდება EG-ში არსებული სისტემებისა და სტრუქტურების მეშვეობით, ისევე როგორც პროექტის მიერ მხარდაჭერილი გაძლიერებული შესაძლებლობების მეშვეობით. კომპონენტ 1-ს განხორციელებს მეწარმეობის დეპარტამენტი სხვა შესაბამის დეპარტამენტებთან (ანალიზის და მონიტორინგისა და შეფასების დეპარტამენტი, ადმინისტრაციის დეპარტამენტი, სტრატეგიული განვითარებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი) კოორდინაციით. პროექტი ხელს შეუწყობს პერსონალის და კონსულტანტების დაქირავებას პროექტის განხორციელების მხარდასაჭერად და პროექტის კონკრეტული სფეროების კოორდინაციას. EG დაიქირავებს ერთ გარემოსდაცვით სპეციალისტს, ერთ სოციალურ მუშაკს და დამატებით პერსონალს ფიდუციურ, საკომუნიკაციო/გარეშე აქტივობების, დიგიტალიზაციისა და სხვა პასუხისმგებლობების მხარდასაჭერად. 2021 წლის 2 ივლისიდან EG-მ დააფუძნა პროექტის მენეჯმენტის გუნდი 12 ადამიანისგან, მათ შორის პროექტის მართვის გუნდის ხელმძღვანელი და პროექტის მენეჯერი. გუნდის ლიდერი აკონტროლებს პროექტის მთლიან განხორციელებას, ხოლო პროექტის მენეჯერი პასუხისმგებელია პროექტის ფარგლებში ყოველდღიური აქტივობებისა და ამოცანების მართვაზე. გუნდის წევრები უზრუნველყოფენ მხარდაჭერას, როგორც მათი დეპარტამენტის ფუნქციების ნაწილი.

1.3. შედეგების ჩარჩო

შედეგების ჩარჩო, მათ შორის შესრულების მიზნები ინდიკატორების მიხედვით, აღწერილია ქვემოთ. POM-ის მომავალი ვერსიები უფრო დეტალურად აღწერს ინდიკატორების განსაზღვრას ზოგადი EG მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შესაბამისად.

ინდიკატორის დასახელება	PBC	საბაზისო	საბოლოო მიზანი
დახმარება MSMEs-თვის			
პანდემიით დაზარალებული MSME-ების ფინანსური მხარდაჭერა (მილიონი ლარი) (ტექსტი)		0.00	450.00
გადარჩენის კოეფიციენტი: არააქტიური საწარმოების თანაფარდობა Enterprise Georgia-ს ბენეფიციარების საერთო რაოდენობასთან გაყოფილი არააქტიური საწარმოების თანაფარდობაზე ეკონომიკაში მოქმედი საწარმოების საერთო რაოდენობასთან (ტექსტი).		ა/გ	<1
MSME-ების მდგრადი აღდგენა			
შემოსავლის მულტიპლიკატორი: პროექტის ბენეფიციარების MSME შემოსავლის საშუალო შეწონილი წლიური ცვლილების თანაფარდობა მათ შესაბამის სექტორში შემოსავლის საშუალო ცვლილებასთან (ტექსტი)		ა/გ	>1
ციფრული ტრანზაქციების რაოდენობა, რომელსაც ხელს უწყობს ახალი მომენტალური გადახდის სისტემა (მილიონი) (ნომერ		0.00	17.00
მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობი გარემოს გაძლიერება			
მომრავი გირაოს განახლებული რეესტრის შექმნა (დიახ/არა)		არა	დიახ

ინდიკატორის დასახელება	PBC	საბაზისო	საბოლოო მიზანი
კომპონენტი 1: გრანტები MSME საწარმოებისთვის			
MSME-ების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს გრანტები პროექტის ფარგლებში (რიცხვი)	0.00		5,000.00
პროექტის ფარგლებში MSME-ებისთვის გაცემული გრანტების ოდენობა (მლნ ლარი) (ტექსტი)	0.00		70.00
საწარმოების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს საპროცენტო გადასახდელების თანადაფინანსება პროექტის ფარგლებში (რიცხვი)	0.00		200.00
პროექტის ფარგლებში თანადაფინანსებით მხარდაჭერილი სესხების მოცულობა (მლნ ლარი) (ტექსტი)	0.00		83.00
პროექტის ფარგლებში გაცემული გარანტიების რაოდენობა (რიცხვი)	0.00		200.00
პროექტის მხარდაჭერით გარანტირებული სესხების მოცულობა (მლნ ლარი) (ტექსტი)	0.00		420.00
პროცენტის თანადაფინანსების პროგრამის NPL კოეფიციენტი (%) (ტექსტი)		ისტორიული NPL-ის კოეფიციენტი EG პროგრამებისთვის არის 0.6%.	თანადაფინანსების სასესხო პორტფელში NPL კოეფიციენტი უნდა იყოს 8%-ზე დაბალი.
სესხის ნაწილობრივი საგარანტიო პროგრამის NPL თანაფარდობა (%) (ტექსტი)		ისტორიული NPL-ის კოეფიციენტი EG პროგრამებისთვის არის 0.6%.	PCG პროგრამის NPL კოეფიციენტი უნდა იყოს 8%-ზე დაბალი
MSME-ების რაოდენობა, რომლებიც იღებენ ტრენინგს და/ან ტექნიკურ დახმარებას ციფრული ტრანსფორმაციისა და/ან COVID-ისგან დაცვის შესახებ (რიცხვი)	0.00		300.00

ინდიკატორის დასახელება	PBC	საბაზისო	საბოლოო მიზანი
პროექტის ფინანსური მხარდაჭერის წილი, რომელიც მიმართულია მწვანე ეკონომიკისა და კლიმატის დაფინანსების ინვესტიციებზე (%) (პროცენტი)		0.00	15.00
EG მოქალაქეების ჩართულობა: MSME-ების წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ პროგრამები ასახავს მათ საჭიროებებს (%) (პროცენტი)		0.00	60.00
ინსტიტუციური ქმედებები საგრანტო პროგრამის გასაძლიერებლად (ტექსტი)	PBC 1	EG-ს არ გააჩნია მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს მისი საგრანტო პროგრამის ეფექტურობისა და შედეგების ხშირი ანალიზის საშუალებას, რამაც შეიძლება უზრუნველყოს პროგრამის გაუმჯობესების მტკიცებულება და ტექნიკური დასაბუთება.	EG-მა მიიღო მონიტორინგისა და შეფასების მყარი ჩარჩო და გამოიყენა მტკიცებულება საგრანტო პროგრამის დიზაინის გასაუმჯობესებლად და მისი განვითარების მდგრადი ვარიანტების შემუშავებისთვის.
ინსტიტუციური ქმედებები პროცენტების თანადაფინანსების პროგრამის გასაძლიერებლად (ტექსტი)	PBC 2	EG-ს არ გააჩნია ქულების შეფასების სისტემები და ღონისძიებები პროცენტის თანადაფინანსების მექანიზმის ეფექტურობის სისტემატიურად შესაფასებლად და სტრატეგიულ სექტორებზე და/ან თემატურ სფეროებზე მისი ფოკუსის უკეთ გათანაბრებისთვის.	EG-მა დანერგა მონიტორინგისა და შეფასების მყარი ჩარჩო და შეაფასა მისი თანადაფინანსების პროგრამა მტკიცებულებების გამოყენებით, რათა შესთავაზოს კორექტირება მიზნობრივი მიზნების, შერჩევის კრიტერიუმებისა და პროგრამის სხვა ასპექტების გასაუმჯობესებლად.
ინსტიტუციური ქმედებები ნაწილობრივი სესხის გარანტიის პროგრამის გასაძლიერებლად (ტექსტი)	PBC 3	ამჟამად EG-ს არ გააჩნია მონიტორინგის სისტემა, რისკების მართვის სტრუქტურა და დაფარვის სტრატეგია, რათა შეაფასოს პროგრამის ეფექტურობა და რისკები და	EG-მ გააძლიერა პროგრამის დიზაინისა და განხორციელების მექანიზმები, მათ შორის უფრო ძლიერი რისკების მონიტორინგი, ცნობიერების ამაღლების კამპანიები, უფრო

ინდიკატორის დასახელება	PBC	საბაზისო	საბოლოო მიზანი
		შესთავაზოს მისი სტრუქტურის გაუმჯობესება.	მკაცრი მონაწილეობის შეთანხმებები PFI-ებთან და ფინანსური მოდელირების ინსტრუმენტი.
მენეჯმენტის უნარების პროგრამის განხორციელება (დიახ/არა)		არა	დიახ
ფინანსური რესურსების წილი (გრანტები, თანადაფინანსება, გარანტიები) პროექტის ფარგლებში, რომელიც მიმართულია ქალებთან მომუშავე კომპანიებზე (პროცენტი)		24.00	35.00
კომპონენტი2: ციფრული გადახდები და ფინანსური ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია			
IPS-ში რეგისტრირებული საცალო ტრანზაქციების მოცულობა (მლრდ ლარი) (რიცხვი)		0.00	10.00
მომენტალური გადახდების ტრანზაქციების წილი (%) (რიცხვი)		0.00	15.00
ფუნქციური KYC რეესტრის შექმნა (დიახ / არა)		არა	დიახ
დაცული ტრანზაქციების მარეგულირებელ ბაზაში ცვლილებების დამტკიცება (დიახ/არა)		არა	დიახ
KYC რეესტრის სამუშაო ჯგუფის შექმნა (დიახ / არა)		არა	დიახ
დაგირავებული ქონების რეესტრის მოდერნიზაციის ტექნიკური მახასიათებლების მომზადება (კი/არა)		არა	დიახ

DRAFT

2. ქვეკომპონენტი 1.1 – გრანტები მიკრო და მცირე საწარმოებისთვის

სააგენტო აწარმოე საქართველოში, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამას 2015 წლიდან ახორციელებს. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით მიკრო და მცირე ბიზნესების ფინანსური მხარდაჭერა გრანტების სახით, ასევე ტრენინგებისა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა.

POM ასახავს პროგრამის ფუნქციებს, პირობებსა და პროცედურებს, რომლებიც აღწერილია საქართველოს მთავრობის No 365 დადგენილების შესაბამის თავში (თავი I1 - სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე ბიზნესის განყოფილება) დათარიღებული 2014 წლის 30 მაისით, და სხვა შიდა დამხმარე დოკუმენტებში, მათ შორის რეგიონების მიხედვით ბიუჯეტის კორექტირების და პროგრამის განხორციელების ვადის გახანგრძლივების შესახებ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ აღმასრულებელი დირექტორის განკარგულებებში. მომავალში ნებისმიერი ცვლილება პროგრამის ძირითად მახასიათებლებში აისახება POM-ში პერიოდული განახლებების მეშვეობით, იმ პირობით, რომ არ იქნება წინააღმდეგობაში მსოფლიო ბანკთან. ეს მოიცავს ცვლილებებს განხორციელების მექანიზმებში, დასაშვებობის კრიტერიუმებში და შერჩევის პროცედურებში რომ განისაზღვროს კონტრაქტორი ორგანიზაციები, დასაშვებობის კრიტერიუმები და შერჩევის პროცედურები იმისთვის, რომ იდენტიფიცირდეს ბენეფიციარები, EG-სა და კონტრაქტორებს შორის კონტრაქტის პირობები, ESS-თან დაკავშირებულ განხორციელების მექანიზმები, განხორციელება და სხვა მექანიზმები გრანტებისა და ტექნიკური დახმარების უზრუნველსაყოფად.

2.1. პროგრამის მახასიათებლები

ზოგადად, ფინანსური დახმარება მოიცავს 30 000 ლარამდე გრანტებს სტარტაპებისთვის ან საწარმოების გაფართოებისთვის, ხოლო ტექნიკური მხარდაჭერა მოიცავს ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს, სადაც მეწარმეებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ შესაბამისი ბიზნეს ცოდნა/ტრენინგები. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ პილოტირებას უკეთებს 40 000 ლარამდე გრანტებს ოთხ რეგიონში (იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი), რომელიც დაფინანსდება: (i) ევროკავშირის 16 მილიონი ლარის გრანტით; და (ii) პროექტის მიერ მიღებული შემოსავლით

გრანტების ოდენობის კორექტირება შესაძლებელია პროექტის განხორციელების პროცესში. ნებისმიერი ცვლილება აისახება POM-ში. სასესხო ხელშეკრულების თანახმად, პროექტის მოქმედების მანძილზე გრანტის ოდენობა თითოეული ბენეფიციარისთვის არ უნდა აღემატებოდეს 14 000 ევროს, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული ბანკისა და მსესხებლის მიერ.

ბენეფიციარებს მოეთხოვებათ განახორციელონ ფულადი შენატანი („თანადაფინანსება“) საკუთარი საბანკო ანგარიშების მეშვეობით და გამოიყენონ ეს შენატანი დასახული მიზნის მისაღწევად, მითითებული მიზნობრივებით სანამ სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ გასცემს გრანტს. თანადაფინანსების მოთხოვნები ჩამოთვლილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

გრანტების გამოყენება შესაძლებელია ძირითადი საშუალებების და საბრუნავი კაპიტალის შესაძენად. გრანტის გამოყენებით საბრუნავი კაპიტალის სუბსიდირება დასაშვებია ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით:

ცხრილი. მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის აქტუალური მახასიათებლები

მიმღების ტიპი	თანადაფინანსების მოთხოვნა (ფულადი შენატანი) (ინვესტიციის თანხის %) (არანაკლებ)	საბრუნავი კაპიტალის რეზერვი (გრანტის თანხის %) (არაუმეტეს)	ძირითადი საშუალებები (გრანტის თანხის %) (არანაკლებ)
პირველი მონაწილე (ახალი)	10	10	90
მთიან რეგიონებში ¹	5	10	90
წინა მონაწილენი	25	10	90
მთიან რეგიონებში	15	10	90

2.2. განხორციელების სქემა და კონტრაქტორების შერჩევა

სააგენტო მიერ პროგრამა განხორციელდება კონტრაქტორი ორგანიზაციების მეშვეობით, მათ შორის არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაციების ან სხვა კერძო იურიდიული პირების.

კონტრაქტორი ორგანიზაციები ანგარიშს გაუწევენ უშუალოდ სააგენტო მიკრო მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტს, რომელიც მონიტორინგს გაუწევს კონტრაქტორი ორგანიზაციების და მათი თანამშრომლების საქმიანობას და შეაფასებს

¹ მთიანი რეგიონების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებულ პუნქტთა ნუსხაში შემავალ დასახლებებში.

მათი შედეგების ხარისხს. გარდა ამისა, სააგენტო მიკრო მეწარმეობის გუნდი განახორციელებს შემთხვევითობის პრინციპით კონტრაქტორი ორგანიზაციების შედეგების შეფასებას (ბიზნეს იდეის, ბიზნეს გეგმებისა და ინტერვიუების შეფასების ფორმები) და დააკვირდება ინტერვიუებს შერჩევის გზით. გარდა ამისა, მიკრო მეწარმეობის გუნდი შეამოწმებს და გააანალიზებს კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ შეგროვებულ ინფორმაციას, ინსპექტირებისა და მონიტორინგის ვიზიტების დროს.

კონტრაქტორი ორგანიზაციების როლი და შერჩევა

სააგენტო გამოაცხადებს ტენდერს ორ ლოტისთვის, აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოსთვის, და შეარჩევს ორ კონტრაქტორ ორგანიზაციას, რათა მართონ პროგრამის განხორციელება შესაბამის რეგიონში. სატენდერო წესების მიხედვით ერთ კონტრაქტორ ორგანიზაციას არ აქვს შესაძლებლობა ერთდროულად მიიღოს მონაწილეობა ორივე ტენდერში.

კონტრაქტორი ორგანიზაციები პასუხისმგებელნი იქნებიან შემდეგზე:

1. გრანტის მიმომხილველების, ტრენერების და მონიტორინგის ინსპექტორების დაქირავება.
2. ბიზნეს იდეების შეფასება.
3. ტრენინგები
4. ბიზნეს გეგმების შეფასება.
5. ინტერვიუები
6. ინსპექტირება
7. გამარჯვებულთა დადგენა (სააგენტოსთან თანამშრომლობით)
8. მონიტორინგის მისიები

დაქირავების პროცესში კონტრაქტორი ორგანიზაციები გამოაცხადებენ ღია კონკურსს სამ თემატურად განსხვავებულ ToR-ზე იმისთვის, რომ გამოიკვეთოს მიმომხილველების, ტრენერების და მონიტორინგის ინსპექტორების მოკლე სია. ToR-ები მოიცავენ მოკლე სიის შესადგენ კრიტერიუმებსა და მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილი იქნება სააგენტოს მიერ. გარდა აკადემიური/ტექნიკური კვალიფიკაციისა, კანდიდატების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იქნება MSME-ს მხარდაჭერის პრაქტიკული გამოცდილება. საბოლოო შერჩევისთვის, შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას კომიტეტთან, რომელიც შედგება

სააგენტოს სამი წარმომადგენლისა და ორი შესაბამისი კონტრაქტორი ორგანიზაციის წარმომადგენლისგან. კონტრაქტორი ორგანიზაცია გააფორმებს კონტრაქტს შერჩეულ კანდიდატებთან.

გრანტის მიმომხილველები პასუხისმგებელი არიან: (i) განაცხადებების („ბიზნეს იდეების“) შეფასებაზე სააგენტოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე; (ii) ბიზნეს გეგმების შეფასებაზე სააგენტოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე; და (iii) გასაუბრებებზე პოტენციურ ბენეფიციარებთან სააგენტოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე. მიმომხილველები გამოიყენებენ სააგენტოს მიერ შემუშავებულ შეფასების ფორმას, რათა დაასაბუთონ შეფასებები შესაბამისი განმარტებებითა და კომენტარებით.

ტრენერები შეიმუშავებენ სასწავლო მასალებს (ექვემდებარება სააგენტოს მიერ დამტკიცებას), მათ შორის ზოგადი მეწარმეობის თემები, ბიზნეს გეგმის სახელმძღვანელო პრინციპები და ზოგადი გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები (მოგვიანებით მოწოდებული საატენტოს მიერ). შემუშავებულ მასალებზე დაყრდნობით ტრენერები ასევე ჩაატარებენ ტრენინგებს პოტენციურ ბენეფიციარებთან. ბენეფიციარებს ექნებათ უფლება მოითხოვონ დამატებითი ტრენინგი გაყიდვებისა და მარკეტინგის, ბუღალტრული აღრიცხვისა და საგადასახადო მენეჯმენტის, ბიზნესის ადმინისტრირების, სასტუმროს მართვისა და ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროცედურებში.

ინსპექტორები გადაამოწმებენ განმცხადებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და დოკუმენტაციას და დაადასტურებენ მათ სიზუსტეს, მათ შორის, თავად განმცხადებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის შესახებ. შემდგომში ინსპექტორები განახორციელებენ მინიმუმ სამ მონიტორინგის მისიას პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე, რათა დაადასტურონ, რომ შესრულებულია ბენეფიციარის ვალდებულებები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებები.

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და კონტრაქტორი ორგანიზაციები ხელს მოაწერენ შერჩევის კონტრაქტებს, რომლებიც მოიცავს ქვემოთ მოცემულ წესებსა და

პირობებს. სააგენტოს წარუდგენს შერჩევის კონტრაქტებს მსოფლიო ბანკს ამ წესების და პირობების მიზანმიმართული მიმოხილვისათვის:

1. ტრანზაქციის ფინანსური პირობები, რომლითაც თანხები გადაეცემა კონტრაქტორ ორგანიზაციას მათი მომსახურებისთვის.

2. სააგენტო „წარმოე საქართველოში“ იღებს ვალდებულებას:

ა. შეაჩეროს ან შეწყვიტოს კონტრაქტორი ორგანიზაციის უფლება გამოიყენოს სესხის შემოსავალი, ან დაიბრუნოს თანხა მთლიანად ან ნაწილობრივ, რომელიც ამოღებულია იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი ორგანიზაცია არ შეასრულებს შერჩევის ხელშეკრულებებით ნაკისრ ნებისმიერ ვალდებულებებს;

ბ. განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები თითოეული შერჩევის ხელშეკრულებით ისე, რომ დაიცვან სააგენტოს, მსესხებლისა და ბანკის ინტერესები და მიაღწიონ სესხის / პროექტის A.1 მიზნებს;

გ. ბანკთან კონსულტაციის გარეშე არ დანიშნოს, შეცვალოს, გააუქმოს, უარი თქვას ან განიცადოს მარცხი იმისთვის რომ აღასრულოს შერჩევის ხელშეკრულებების ნებისმიერი დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ საკონტროლო სიას;

3. კონტრაქტორები იღებენ ვალდებულებას:

ა. განახორციელონ მათი საქმიანობა პროექტის და შერჩევის კონტრაქტების ფაგლებში: (i) სათანადო გულმოდგინებითა და ეფექტურობით და შესაფერისი ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, მენეჯერული, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად; (ii) შერჩევის კონტრაქტებით განსაზღვრული წესების და პირობების, სასესხო ხელშეკრულების, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (ESS) და ინსტრუმენტების, მათ შორის პროექტის ESMS და ESMF, პროექტის ოპერაციების სახელმძღვანელოს, მათ შორის ანტიკორუფციული სახელმძღვანელოს, რომელიც ვრცელდება სესხის შემოსავლის მიმღებებზე გარდა მსესხებლისა, შესაბამისად; და (iii) საჭიროებისამებრ სწრაფად უზრუნველყოს ამ მიზნით საჭირო რესურსები;

ბ. ანგარიშგება და FM მოთხოვნები: უზრუნველყონ ფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც შეიძლება დროდადრო მოითხოვოს ბანკმა ან სააგენტომ; უზრუნველყონ შესაძლებლობა, რომ სააგენტომ და ბანკმა მიმოიხილონ ნებისმიერი შესაბამისი ჩანაწერი და დოკუმენტი; შეინარჩუნონ ფინანსური მენეჯმენტის სისტემა და მოამზადონ ფინანსური ანგარიშგებები შერჩეული

სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მისაღებია EG-ისა და ბანკისთვის, და დროულად მიაწოდონ აუდიტირებული ანგარიშები სააგენტოსა და ბანკს;

გ. შესყიდვის მოთხოვნები: მოიცავს კონტრაქტორი ორგანიზაციების შესყიდვის ვალდებულებების შესაბამისად;

დ. მოამზადოს და მიაწოდოს სააგენტოს და ბანკს ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც სააგენტო ან ბანკი გონივრულად ითხოვს ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით;

ე. სააგენტოსა „აწარმოე საქართველოში“ და ბანკთან კონსულტაციის გარეშე არ მიანიჭოს, შეცვალოს, გააუქმოს, უარი თქვას ან ვერ შეძლოს ადასრულოს სუბგრანტის ხელშეკრულებების ნებისმიერი დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ საკონტროლო სიას;

ვ. განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ შერჩევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ისე, რომ დაიცვან სააგენტოს, მსესხებლისა და ბანკის ინტერესები, ასევე მიაღწიონ სესხის მიზნებს;

4. ორივე მხარის ვალდებულებები მონაცემთა დაცვის შესახებ, როგორც დეტალურადაა აღწერილი POM-ში.

5. დებულებები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სააგენტოს მიერ სასწავლო მასალების შემუშავებისას ხარისხის კონტროლი.

2.3. ბენეფიციარების დასაშვებობის კრიტერიუმები

დასაშვებობის ძირითადი კრიტერიუმები მოიცავს:

(i) პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე და მიღწეულია 18 წელს;

(ii) (ii) რეგისტრაცია გადასახადის გადამხდელად;

(iii) (iii) მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის არარსებობა.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის თბილისშიც, გეოგრაფიული ლოტების მიხედვით. პროგრამა მხარს უჭერს 300-ზე მეტ ეკონომიკურ აქტივობას. პროგრამით ნებადართული ეკონომიკური აქტივობების სრული სია მოცემულია №365 განკარგულებაში. ძირითადი დასაშვები სექტორებია საკვების

წარმოება, კვებითი მომსახურება, ვეტერინარული მომსახურება, ფიტნეს მომსახურება, რეკლამა და დიზაინის მომსახურება, ღვინისა და სასმლის წარმოება, მცირე და საოჯახო სასტუმროები, ტუროპერატორები, მთარგმნელობითი მომსახურება, ბუღალტერია და აუდიტი, საცალო ვაჭრობა, ავტომობილების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, განათლება, სილამაზის სალონები და ფეხსაცმლის/ტყავის პროდუქტის შეკეთება.

პრიორიტეტული სფეროებია ცოდნაზე დაფუძნებული მომსახურება, განსახლების და ტურისტული მომსახურება, მეტად ინკლუზიური სექტორები, ახალი ბიზნესები, ქალთა მეწარმეობა, ბიზნესები სოფლის/მთის სოფლებში და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის (დევნოილები). პრიორიტეტულ სფეროებში მოქმედი ბიზნესები შერჩევის პროცესში დამატებით ქულას მიიღებენ.

პროექტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ ბენეფიციართა მინიმუმ 50 პროცენტი იყოს ქალთა ინკლუზიური ფირმები, რომლებიც განისაზღვრება, როგორც: (i) ქალების მფლობელობაში (მინიმუმ ერთი ქალი აქციონერი სათანადოდ დოკუმენტირებული წარმომადგენლობითი და მენეჯერული უფლებამოსილებით); ან (ii) მართავენ ქალები (ანუ მინიმუმ ერთი ქალი აღმასრულებელი, C-დონის მენეჯერი ან მინიმუმ 25 პროცენტი ქალი წარმომადგენელი საშუალო დონის მენეჯმენტში); ან (iii) დასაქმებულ ქალთა თანაფარდობა აღემატება საშუალო ფარდობით მაჩვენებელს შესაბამის სექტორში; ან (iv) წინა წელს გაზარდა დასაქმებული ქალების წილი მინიმუმ 5 პროცენტით.

კლიმატის ცვლილებისა და მწვანე აღდგენის დღის წესრიგის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროექტი მიზნად ისახავს, რომ მინიმუმ 15 პროცენტი MSME-სთვის გაცემული გრანტებისა მხარს დაუჭერს ინვესტიციებს მწვანე ეკონომიკაში და კლიმატის დაფინანსების ღონისძიებებს. ადაპტაციის ღონისძიებები მოიცავს ინვესტიციებს, რომლებიც ამცირებენ MSME-ების ზემოქმედებას კლიმატის ცვლილებაზე და ზრდის მათ მდგრადობას. შემარბილებელი ღონისძიებები მოიცავს ინვესტიციებს, რომლებიც ამცირებს, აფერხებს ან აკავებს სათბურის გაზების (GHG) გამოყოფას (განახლებადი ენერგიის წარმოება/გამოყენება, გაზრდილი ენერგოეფექტურობა, ტყის მდგრადი მართვა, კლიმატისადმი ჰკვიანი სოფლის მეურნეობა, გაუმჯობესებული ნარჩენების მართვა). 2020 წლის ივნისში გამოქვეყნებული ევროკავშირის მდგრადი ეფექტურობის ტაქსონომიის მე-10 და მე-11 მუხლები, ისევე როგორც ევროკავშირის შესაბამისი ტაქსონომიის კომპასი (კონკრეტული NACE კოდებით) გამოყენებული იქნება საცნობარო ინფორმაციად (<https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2020/852/oj>).

პროგრამის მიხედვით დაუშვებელ აქტივობებს მიეკუთვნება: (i) რელიგიური, პოლიტიკური, სამხედრო და სხვა მსგავსი აქტივობები; (ii) ბიოლოგიური აქტივების


შეძენა: მარცვლეული, სიმინდი, ხორბალი, თევზი და ა.შ.; (iii) მანქანების შეძენა ადამიანების ტრანსპორტირებისთვის; და (iv) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების პირველადი წარმოება და მომსახურება, რომელიც განკუთვნილია შემდეგისთვის: მეზღვაობა, მიწათმოქმედება, მეთევზეობა, სათბურის დაფინანსება და ა.შ.

განაცხადები უნდა აკმაყოფილებდეს მსოფლიო ბანკის შესაბამის ESS მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის ჩარჩოთი (ESMF), იმისთვის რომ იყოს დასაშვები ისარგებლონ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. ზემოაღნიშნული დაუშვებელი აქტივობები შესაძლოა დაფინანსდეს ალტერნატიული წყაროებიდან EG-ის შეხედულებისამებრ.

2.4. პროცესები: გრანტის მიღება და საგრანტო განაცხადების განხილვა

2.4.1. პროცესის მოკლე აღწერა

განაცხადის წარმოდგენისა და განცილხვის პროცესი ილუსტრირებული და აღწერილია ქვემოთ. გრანტის მიმღებთა შერჩევის პროცესი ეფუძნება ბიზნეს გეგმის კონკურსს, რომელსაც მართავს კონტრაქტორი ორგანიზაცია და „აწარმოე საქართველოში“ თითოეული გეოგრაფიული ლოტისთვის.



2.4.2. საგრანტო განაცხადის პროცესი

საგრანტო განაცხად უნდა მოიცავდეს შემდეგი პუნქტებს:

ა) **ბიზნესიდეა** - ბიზნეს იდეის მოკლე აღწერა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ბიზნესის საწყისი კაპიტალის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ინფორმაციას წარმოების ტიპისა და/ან მომსახურების შესახებ, მიუთითეთ თქვენი ბიზნესის უპირატესობებსა და ინოვაციებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ბ) **აქტივები/საბრუნავი კაპიტალი რომელის შეძენა მოხდება საგრანტო ბიუჯეტიდან** - ბიზნესის წარმართვისთვის აუცილებელი ყველა აქტივისა და პუნქტის აღწერა, რომლის შეძენაც იგეგმება საგრანტო ბიუჯეტიდან;

გ) **თანადაფინანსებისთვის მოთხოვნილი თანხა** - ინვესტიციის/პროექტისთვის საჭირო თანხა;

დ) **დრო** - მიუთითეთ მიღებული თანხის გახარჯვის სავარაუდო პერიოდი (კვირებში);

ე) **თანადაფინანსების ბიუჯეტით შესაძენი აქტივები/საბრუნავი კაპიტალი** - ბიზნესის ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა აქტივის/ნივთის/სერვისის აღწერა, რომლის შეძენა/შესრულება იგეგმება თანადაფინანსებით მიღებული თანხით;

ვ) **თანადაფინანსების თანხა** – ბენეფიციარის მხრიდან ფულადი

თანამონაწილეობის ოდენობა.

ზ) **სამიზნე ბაზარი** - დეტალური აღწერა, თუ სად უნდა გაიყიდოს პროდუქცია ან/და მომსახურება, გაყიდვების სავარაუდო მოცულობა და პოტენციური სამიზნე ჯგუფი;

თ) **სავარაუდო შემოსავალი** – ბიზნეს იდეიდან გამომდინარე საქმიანობის განხორციელების დაწყების შემდეგ თანადაფინანსებიდან პირველი შემოსავლის მიღების თარიღი; საქმიანობიდან მოსალოდნელი შემოსავლის ოდენობა ლარში, (წლიური) სეზონურობის გათვალისწინებით. პროექტისთვის დაგეგმილი თითოეული პროდუქტიდან ან/და სერვისიდან მიღებული შემოსავლის აღწერა;

ი) **კანდიდატის გამოცდილება, ფუნქციები და მოვალეობები პროექტში**- კანდიდატის უნარების (კვალიფიკაციის, პრაქტიკული გამოცდილების) აღწერა და მისი ფუნქციები ბიზნესში. მეწარმისა და თანამშრომლების სქესი, თუ რელევანტურია.

2.4.3. საგრანტო განაცხადების განხილვა

საგრანტო განაცხადების განხილვისა და შერჩევის პროცესი, რომელიც დადგენილია დებულებით No. 365 შეჯამებულია ქვემოთ:

ა) **ნაბიჯი 1: სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მიერ ცხადდება ბიზნეს იდეების კონკურსი** - პროგრამა იწყება მთავრობის დადგენილებით, რის შემდეგაც სააგენტო იწყებს ბიზნეს იდეების მიღებას ონლაინ პლატფორმის საშუალებით.

ბ) **ნაბიჯი 2: განაცხადების შეფასება (ბიზნეს იდეები)** - ბიზნეს იდეებს აფასებენ გრანტის შემფასებლები, რომლებიც კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ არიან დაქირავებული. შეფასება ხდება სააგენტოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით ქულების მინიჭებას გულისხმობს. საერთო ქულა წარმოადგენს „ავტომატურ კრიტერიუმებს“ (16 ქულამდე ჯამიდან) და „შინაარსის კრიტერიუმებს“ (მთლიანი ქულებიდან 84 ქულამდე) მინიჭებული ქულების ჯამს. დიახ/არა კითხვებზე ქულები (დიახ = 2; არა = 0) ენიჭება ავტომატურად, იმის მიხედვით, აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი კრიტერიუმებს. ქულები იწერება ნულიდან სამამდე, რაც დამოკიდებულია მოწოდებული ინფორმაციის სისრულეზე, სიცხადეზე, რეალისტურობაზე, ხარისხზე და შესაბამისობაზე. ამ ეტაპზე კანდიდატები ასევე ავსებენ 5 კითხვიან გარემოსდაცვითი და სოციალური საკონტროლო სიას, როგორც ეს აღწერილია პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოში.

შეფასების ფორმა - ბიზნესიდეები		
ავტომატური კრიტერიუმები	რეიტინგი	ქულა
ბიზნესი დაიწყო ან გაფართოვდა ქალი მეწარმეების მიერ	1	2
ბიზნესი დაიწყო ან გაფართოვდა შშმ პირების მიერ	1	2
ბიზნესი დაიწყო ან გაფართოვდა დევნილთა მიერ	1	2
სტარტაპ ბიზნესი	1	2
ბიზნესი დაიწყო ან გაფართოვდა სოფლად	1	2
ბიზნესი დაიწყო ან გაფართოვდა საქართველოს მთიან რეგიონებში	1	2
ახალგაზრდების მიერ (18-დან 29 წლამდე ასაკის პირები)	1	2
პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია ცოდნაზე დაფუძნებული სერვისებისა და ინკლუზიური სექტორების განვითარებაზე ან და ტურისტული პროექტების განვითარებაზე	1	2
ჯამი		16

შეფასების ფორმა - ბიზნესიდეები		
შინაარსის კრიტერიუმები	რეიტინგი	ქულა
ძირითადი იდეა	3	33.0
საგრანტო ბიუჯეტიდან შესაძენი აქტივები	2	6.0
თანადაფინანსებით შესაძენი აქტივები	2	6.0
სამიზნე ბაზარი	2	12.0
სავარაუდო შემოსავალი	2	12.0
განმცხადებლის გამოცდილება, ფუნქციები და მოვალეობები პროექტის ფარგლებში	3	15.0
ჯამი		84.0

ქულა	განმარტება
0 - 0.00 1 - 11.0 2 - 22.0 3 - 33.0	0 = ინფორმაცია არ არის მოწოდებული, ან ბიზნეს იდეა არ აზუსტებს პროექტის არსს. 1 = მოწოდებული ინფორმაცია არ არის სრული და პროექტის განხორციელება ნაკლებად რეალისტურია. 2 = მოწოდებულია ინფორმაციის უმეტესი ნაწილი, თუმცა საჭიროებს დაზუსტებას; 3 = ინფორმაცია ყველა საჭირო საკითხზე სრულად არის წარმოდგენილი და ბიზნეს იდეის განხორციელება რეალისტურია.
0 - 0.0 1 - 3.0 2 - 6.0	0 = დაგეგმილია არარელევანტური და/ან აქტივების შეძენა, რომლებიც არ არის ნებადართული პროგრამის პირობებით 1 = დაგეგმილია ბიზნესთან ნაკლებად რელევანტური აქტივების შეძენა ან აქტივების ღირებულება მითითებულია მცირე უზუსტობით. 2 = დაგეგმილია მხოლოდ ბიზნესისთვის საჭირო აქტივების შეძენა საბაზრო ფასად
0 - 0.0 1 - 3.0 2 - 6.0	0 = დაგეგმილია არარელევანტური და/ან აქტივების შეძენა, რომლებიც არ არის ნებადართული პროგრამის პირობებით 1 = დაგეგმილია ბიზნესთან ნაკლებად რელევანტური აქტივებისა/ მომსახურების შეძენა ან ღირებულება მითითებულია მცირე უზუსტობით. 2 = დაგეგმილია მხოლოდ ბიზნესისთვის საჭირო აქტივების შეძენა საბაზრო ფასად
0 - 0.00 1 - 6.00 2 - 12.0	0 = არ არის მოწოდებული სამიზნე ბაზრის შესახებ ინფორმაცია და/ან მოწოდებული მაგალითები არარეალისტურია; 1 = მოწოდებულია ზოგადი ინფორმაცია, მაგრამ პროდუქტის/მომსახურების გაყიდვების არეალი არ არის დეტალურად ახსნილი 2 = სამიზნე ბაზრის კომპონენტები დეტალურადაა წარმოდგენილი / გათვლილია და წარმოდგენილი ინფორმაცია რეალისტურია
0 - 0.00 1 - 6.00 2 - 12.0	0 = სავარაუდო შემოსავლის შესახებ ინფორმაცია არ არის მოწოდებული ან/და მოწოდებული ინფორმაცია არარეალისტურია; 1 = წარმოდგენილი გამოთვლები ნაკლებად რეალისტურია. მოთხოვნილი ინფორმაცია არ არის სრული. 2 = წარმოდგენილია სავარაუდო შემოსავალი ყველა დაგეგმილი პროდუქტიდან ან სერვისიდან. შემოსავალი ასახავს სეზონურობას. სავარაუდო შემოსავლის ვადა და ოდენობა რეალისტურია;
0 - 0.00 1 - 5.00 2 - 10.0 3 - 15.0	0 = განმცხადებელს არ აქვს კონკრეტული გამოცდილება და კვალიფიკაცია, რომელიც საჭიროა პროდუქტის წარმოებისთვის/მომსახურების მიწოდებისთვის. 1 = კანდიდატის კვალიფიკაცია ნაკლებად რელევანტურია, თუმცა აქვს გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება. 2 = მოწოდებული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია ზოგადია და საჭიროებს დაზუსტებას. 3 = განმცხადებლის კვალიფიკაცია, განათლება და პრაქტიკული გამოცდილება სრულად არის აღწერილი და რელევანტურია ბიზნესისთვის.

გ) **ნაბიჯი 3: ტრენინგი** - კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ დაქირავებული ტრენერები ამზადებენ და ატარებენ ტრენინგებს, რომლებიც კანდიდატებს მეწარმეობაზე საბაზისო ცოდნას აწვდიან და ხელს უწყობენ ბიზნეს გეგმის შემუშავებაში. ტრენინგნი ასევე მოიცავს ინფორმაციის ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების და რეკომენდაციების შესახებ და რჩევებს აუცილებელი მაკორექტირებელ ქმედებებზე, სააგენტოს თანამშრომლებთან კოორდინაციით.

დ) **ნაბიჯი 4: სააგენტოს მიერ ცხადდება ბიზნეს გეგმების კონკურსი** - ბიზნეს გეგმებზე განაცხადები მიიღება ხორციელდება ონლაინ პლატფორმის მეშვეობით.

ე) **ნაბიჯი 5: ბიზნეს გეგმებისა შეფასება და გასაუბრება** - ბიზნეს გეგმებს ხელახლა აფასებენ გრანტის შემფასებლები, რომლებიც კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ არიან დაქირავებული. შეფასება ხდება სააგენტოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე. იდენტური მეთოდოლოგია და კრიტერიუმები გამოიყენება ბიზნეს გეგმებისა და გასაუბრებების შესაფასებლად (შემდეგი ნაბიჯი იხილეთ ქვემოთ). ბიზნეს გეგმის შეფასების წილი საბოლოო შეფასებაში შეიძლება იყოს 35 ქულამდე. გრანტის შემფასებელს შეაქვს რელევანტური ინფორმაცია და შეფასებები პროგრამის ონლაინ პლატფორმაში.

შეფასების ფორმა - ბიზნეს გეგმა და გასაუბრება					
შინაარსის კრიტერიუმები		რეიტინგი (ბიზნესგეგმა)	ქულა	რეიტინგი (გასაუბრება)	ქულა
1	ძირითადი აზრი	3	2.80	3	5.20
2	პროდუქტი / სერვისი	2	3.80	2	7.05
3	კანდიდატის გამოცდილება, ფუნქციები და მოვალეობები	3	3.85	3	7.15
4	ქონება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიზნესისთვის	2	3.15	2	5.85
5	პროდუქციის/მომსახურების აღწერა	2	4.20	2	7.80
6	სეზონური გაყიდვები	2	2.29	2	4.25
7	საქონლის/მომსახურების გაყიდვის გეოგრაფია	2	2.29	2	4.25
8	სამიზნე ბაზარი / ჯგუფი	2	2.29	2	4.25
9	კონკურენტების ანალიზი	2	2.29	2	4.25

10	პროექტის ბიუჯეტი	2	3.50	2	6.50
11	შემოსავლებისა და ხარჯების ცხრილი	2	4.55	2	8.45
		ბიზნესგეგმა	35.00	გასაუბრება	65.00
ჯულა (ბიზნესგეგმა + გასაუბრება)		100.00			

ქულა (ბიზნესგეგმა)	ქულა (გასაუბრება)	შინაარსის კრიტერიუმები
0 - 0.00 1 - 0.93 2 - 1.87 3 - 2.80	0 - 0.00 1 - 1.73 2 - 3.47 3 - 5.20	0 = ინფორმაცია არ არის მოწოდებული, ან ბიზნეს იდეა არ აზუსტებს პროექტის არსს; 1 = მოწოდებული ინფორმაცია არ არის სრული და პროექტის განხორციელება ნაკლებად რეალისტურია; 2 = მოწოდებულია ინფორმაციის უმეტესი ნაწილი, თუმცა საჭიროებს დაზუსტებას; 3 = ინფორმაცია ყველა საჭირო საკითხზე სრულად არის წარმოდგენილი და ბიზნეს იდეის განხორციელება რეალისტურია.
0 - 0.00 1 - 1.90 2 - 3.80	0 - 0.00 1 - 3.53 2 - 7.05	0 = პროდუქტის სერვისის აღწერა არ არის ცხადი და გაურკვეველია რა არის კონკურენტული უპირატესობა 1 = წარმოდგენილი ინფორმაცია არასრულია, მაგრამ პროდუქტის/სერვისის არსი ნათელია 2 = თითოეული პროდუქტი/მომსახურება აღწერილია სრულად. აღწერილია პროდუქტის ან სერვისის მახასიათებლები (მათ შორის: შეფუთვა, ფასი, ხარისხი) და ნათელია მათი უნიკალურობა.
0 - 0.00 1 - 1.28 2 - 2.57 3 - 3.85	0 - 0.00 1 - 2.38 2 - 4.77 3 - 7.15	0 = განმცხადებელს არ აქვს კონკრეტული გამოცდილება და კვალიფიკაცია, რომელიც საჭიროა პროდუქტის/მომსახურების წარმოებისთვის; 1 = ბიზნესის წარმართვის კანდიდატის კვალიფიკაცია ნაკლებად აქტუალურია, თუმცა მას აქვს გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება; 2 = მოწოდებული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია ზოგადია და საჭიროებს დაზუსტებას; 3 = განმცხადებლის კვალიფიკაცია, განათლება და პრაქტიკული გამოცდილება სრულად არის აღწერილი და რელევანტურია ბიზნესისთვის.
0 - 0.00 1 - 1.58 2 - 3.15	0 - 0.00 1 - 2.93 2 - 5.85	0 = თუ უძრავი ქონება გადამწყვეტია საქმიანობის განსახორციელებლად, მაგრამ განმცხადებელს არ აქვს ქონება და არ უპოვნია დასაქირავებელი ფართი. 1 = თუ უძრავი ქონების ფლობა გადამწყვეტია საქმიანობის განსახორციელებლად და ქონება ნაქირავებია და ნაქირავები ფართის შესახებ დეტალები მითითებულია ბიზნეს გეგმაში 2 = თუ ქონება ეკუთვნის განმცხადებელს ან ქონების საკუთრება არ არის გადამწყვეტი საქმიანობის განსახორციელებლად და ფართი ნაქირავებია, ხოლო ბიზნეს გეგმაში დეტალურად არის აღწერილი დაქირავებული ფართის შესახებ ინფორმაცია
0 - 0.00 1 - 2.10 2 - 4.20	0 - 0.00 1 - 3.90 2 - 7.80	0 = თუ ბიზნეს პროცესი სრულად არ არის აღწერილი, არის რამდენიმე შეცდომა 1 = თუ ინფორმაცია და წარმოების პროცესის აღწერა არასრულია, მაგრამ აზრი ნათელია და შეესაბამება მიღებულ პრაქტიკას. 2 = წარმოების/მომსახურების პროცესი სრულად არის აღწერილი, ნედლეულის შესყიდვიდან მზა პროდუქციის/ სერვისის მომხმარებლებამდე მიწოდებამდე.

		გარდა ამისა, აღწერილია წარმოების პროცესისთვის საჭირო ძირითადი საშუალებები (შენობები, სხვადასხვა ტიპის აღჭურვილობა და ა.შ. და ნედლეული). წარმოდგენილია ინფორმაცია ნედლეულის/საბრუნავი კაპიტალის შესახებ.
0 - 0.00 1 - 1.14 2 - 2.29	0 - 0.00 1 - 2.12 2 - 4.25	0 = ინფორმაცია ბიზნესის სეზონურობის შესახებ არ არის მოწოდებული; 1 = მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისია და/ან საჭიროა გარკვეული საკითხების დაზუსტება. 2 = წარმოდგენილია სრული ინფორმაცია (არგუმენტირებული) ბიზნესის სეზონურობის შესახებ.
0 - 0.00 1 - 1.14 2 - 2.29	0 - 0.00 1 - 2.12 2 - 4.25	0 = ინფორმაცია პროდუქტის/მომსახურების დაგეგმილი გაყიდვების ზონის შესახებ არ არის მოწოდებული; 1 = მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისია და/ან საჭიროა გარკვეული საკითხების გარკვევა; 2 = გთავაზობთ დეტალურ ინფორმაციას პროდუქტის/მომსახურების დაგეგმილი გაყიდვების არეალის შესახებ;
0 - 0.00 1 - 1.14 2 - 2.29	0 - 0.00 1 - 2.12 2 - 4.25	0 = ინფორმაცია სამიზნე ბაზრის/წარმოებული პროდუქტის/მომსახურების მყიდველების შესახებ არ არის მოწოდებული; 1 = მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისია და/ან საჭიროა გარკვეული საკითხების დაზუსტებას. 2 = წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია წარმოებული პროდუქტის/მომსახურების სამიზნე ბაზრის/მყიდველების შესახებ.
0 - 0.00 1 - 1.14 2 - 2.29	0 - 0.00 1 - 2.12 2 - 4.25	0 = არ არის წარმოდგენილი კონკურენტების ანალიზი; 1 = მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისია და/ან საჭიროა გარკვეული საკითხების დაზუსტებას 2 = წარმოგენილია დეტალური ინფორმაცია კონკურენტების შესახებ, პროდუქტის/მომსახურების ფასი და ხარისხი შედარებულია კონკურენტების ფასთან/ხარისხთან. წარმოდგენილია პროდუქტის/მომსახურების კონკურენტული უპირატესობები.
- ბენეფიციარისთვის სესხზე მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სესხის ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის 150% პროცენტს. სესხის უზრუნველყოფის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სააგენტოს მხრიდან განსაზღვრული გარანტია. აღნიშნული

ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო არ დაამტკიცებს სესხს.

სანქციები:

- თუ მონაწილე ფინანსური ინსტიტუტი, N163 დადგენილებით განსაზღვრული პირობების დარღვევისთვის შეაფერხებს ბენეფიციარის დაჯარიმებას, მას, ყოველ გადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს 0.1%-ის ოდენობით. (სავალდებულო წესების შეჯამება აღწერილია ქვემოთ).
- თუ აღმოჩნდება, რომ ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ სესხის გაცემა ეწინააღმდეგება დადგენილების და სახელმწიფო პროგრამის მიზნებს, მონაწილე ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია გარანტიის თანხა დააბრუნოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე და გადაიხადოს ჯარიმა, გარანტირებული თანხის 10%. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსურ ინსტიტუტთან შეუთანხმებლად, ბენეფიციარი დაარღვევს პირობებს, ფინანსურ ინსტიტუტს არ დაეკისრება აღნიშნულზე პასუხისმგებლობა.
- თუ მონაწილე ფინანსური ინსტიტუტი არღვევს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებულ გარანტიის თანხაზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პირობებს, მას დაეკისრება ჯარიმა ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის, გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
- მონაწილე ფინანსური ინსტიტუტი ვალდებულია გადარიცხოს სანქციის/ჯარიმის თანხა სახაზინო ანგარიშზე ვალდებულების დარღვევის აღმოჩენიდან 30 დღის ვადაში.

ძირითადი სავალდებულო წესები ბენეფიციარებისთვის:

ა) ბენეფიციარის მიერ წარმოების/მომსახურების მიწოდების დაწყების ვალდებულება:

ა) ახალი საწარმოს გახსნის შემთხვევაში – სესხის პირველი ტრანშიდან არაუგვიანეს 24 თვის განმავლობაში.

ბ) არსებული საწარმოს შემთხვევაში სესხის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუგვიანეს 12 თვისა.

გ) No163 დადგენილებით გათვალისწინებული გამონაკლისების შემთხვევაში პროგრამაში ჩართვის მომენტიდან არა უგვიანეს 60 თვის განმავლობაში.

ბ) ბენეფიციარი ვალდებულია პროგნოზირებული შეინარჩუნოს წარმოების/მომსახურების მიწოდების დაწყებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში, თუმცა არანაკლებ პროგრამის ფარგლებში გაცემული საკრედიტო გარანტიის ვადისა. ამასთან, N163 დადგენილების N1 დანართით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჩამონათვალში

შეტანილი საქმიანობის პროფილის ცვლილება ამ ქვეპუნქტის დარღვევად არ ითვლება.

გ) სესხის/სესხის პირველი ტრანშის ათვისება უნდა განხორციელდეს სააგენტოს მიერ სესხის დადასტურებიდან არა უგვიანეს 6 თვის ვადაში. ამ ვადის დარღვევით სესხის/სესხის ტრანშის გაცემის შემთხვევაში სააგენტო არ განახორციელებს ამ სესხზე საკრედიტო გარანტიის გაცემას. აღნიშნულ შემთხვევაში მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია, პროგრამით სარგებლობის თაობაზე ხელახლა მიმართოს მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტს N163 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

დ) ბენეფიციარი ვალდებულია სრულად აითვისოს სესხი სააგენტოს მიერ სესხის დადასტურებიდან არა უგვიანეს 2 წლის ვადაში (გარდა N 163 დადგენილების დანართი N1-ით განსაზღვრული კოდებისა, ამ შემთხვევაში სესხის სრული ათვისების ვადად განისაზღვრება სააგენტოს მიერ სესხის დადასტურებიდან არა უგვიანეს 3 წლისა).

ე) ბენეფიციარი ვალდებულია უზრუნველყოს სამეურნეო/ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობების შშმ პირებისთვის ადაპტირება.

ვ) ბენეფიციარი ვალდებულია, ბენეფიციარის სტატუსით სარგებლობის პერიოდში, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, სააგენტოს მიაწოდოს ფინანსური და სხვა გამოთხოვილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად.

4.5. ბენეფიციარისთვის განსაზღვრული კრიტერიუმები

პროგრამა ორიენტირებულია ბიზნეს სუბიექტებზე. დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები მოიცავს: (i) მეწარმე სუბიექტი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უნდა აკმაყოფილებდეს III ან IV კატეგორიის საწარმოსთვის დადგენილ მოთხოვნებს მხოლოდ შემოსავლის კომპონენტში⁴; (ii) მეწარმე სუბიექტის სასესხო ვალდებულებები არ უნდა აღემატებოდეს 12 000 000 ლარს. პროგრამა დანერგილია საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის თბილისში. პროგრამა მხარს უჭერს 200-ზე

⁴ ამჟამად ეს არის 20 მილიონ ლარამდე წლიური ბრუნვის ექვივალენტი.

მეტ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელთაგან მთავარია: წარმოება და გადამამუშავება, სასტუმრო ინდუსტრია, ელექტროენერგიის წარმოება, საგანმანათლებლო საქმიანობები, ტრეინინგის ცენტრები, მომსახურების ექსპორტი და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ლაბორატორიები. პროგრამით ნებადართული ეკონომიკური აქტივობების სრული სია მოცემულია 163 დადგენილებაში. ბენეფიციარებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროცენტის თანადაფინანსების პროგრამაში "აწარმოე საქართველოში" (დადგენილება 365), როგორც ეს აღწერილია პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელოში „პროგრამის მიმოხილვაში - გარანტიის პირობები“.

პროექტი მიზნად ისახავს უზრუნველყოს ისეთი კომპანიების 30% მხარდაჭერა, რომლების მფლობელები ქალები არიან, ან აქტიურად ეწევიან ქალთა დასაქმების ხელშეწყობას. ქალთა ინკლუზიური კომპანიები განისაზღვრება შემდეგნაირად: (i) მფლობელი ქალია (ანუ, მინიმუმ ერთ ქალ აქციონერს აქვს სათანადოდ დოკუმენტირებული წარმომადგენლობითი და მენეჯერული უფლებამოსილებები); ან (ii) მართავენ ქალები (ანუ მინიმუმ ერთი ქალი C- დონის მენეჯერი ან მინიმუმ 25 პროცენტი ქალი საშუალო მენეჯმენტში); ან (iii) სამუშაო ადგილზე საშუალოზე მეტი დასაქმებული ქალია, ვიდრე დაფიქსირდა შესაბამისი სექტორში; ან (iv) გაზარდა დასაქმებული ქალების წილი მინიმუმ 5 პროცენტით წინა წელთან შედარებით.

კლიმატის ცვლილებისა და მწვანე ეკონომიკის აღდგენის დღის წესრიგის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროექტი მხარს დაუჭერს ისეთი მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების 15%-ს, რომლებიც თავის მხრივ, მხარს უჭერენ მწვანე ეკონომიკის ინვესტიციების და კლიმატის ღონისძიებების დაფინანსების. ადაპტაციის ღონისძიებები ასევე მოიცავენ ისეთი ტიპის ინვესტიციებს, რომლებიც ამცირებენ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების ზემოქმედებას კლიმატის ცვლილებაზე და გაზრდის მათ მდგრადობას. შემარბილებელი ღონისძიებები მოიცავს ისეთი ტიპის ინვესტიციებს, რომლებიც ამცირებენ სათბურის გაზების ემისიას (განახლებადი ენერგიის წარმოება/გამოყენება, ენერგოეფექტურობა, ტყის მდგრადი მართვა, მდგრადი სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა). 2020 წლის ივნისში გამოქვეყნებული ევროკავშირის მდგრადი ეფექტურობის ტაქსონომიის მე-10 და მე-11 მუხლები, ისევე როგორც ევროკავშირის შესაბამისი ტაქსონომიის კომპასი (კონკრეტული NACE კოდებით) გამოყენებული იქნება საცნობარო ინფორმაციად (<https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2020/852/oj>).


აღნიშნული არ გავრცელდება შემდეგზე: (i) მსესხებელი არის კომპანია, რომელშიც სახელმწიფო ან სსიპ პირდაპირ ან ირიბად ფლობს აქციების 10 პროცენტს ან პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობს კომპანიის მართვაში; (ii) მეწარმეები, რომლებიც უკვე გადეფოლტდნენ აღნიშნული სქემის ფარგლებში ან დაარღვიეს ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვალდებულებები ან 2014 წლის 30 მაისის 365 დადგენილებით გაფორმებული ხელშეკრულება და/ან აქვთ დავალიანება სახელმწიფოს მიმართ ან რეგისტრირებული არიან სიაში. მოვალეები; და (iii) სესხები, რომლებიც დაფინანსდა 2020 წლის 19 მარტის No177 დადგენილების „თანადაფინანსების მექანიზმი მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის“ შესაბამისად.

იმისათვის, რომ ბენეფიციარებმა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში, მიიღონ გარანტიები, სესხის განაცხადები უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკის გარემოს დაცვის და სოციალური სტანდარტებს როგორც ეს ასახულია გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის პროექტში. შეუსაბამო საქმიანობები შესაძლებელია დაფინანსდეს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ შეხედულებისამებრ, ალტერნატიული წყაროებიდან.

4.6. პროცესები: ნაწილობრივი საკრედიტო გარანტიების მიღება

4.6.1. პროცესის შეჯამება



4.6.2. გარანტიის მოთხოვნის პროცესი

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია სესხის გარანტიის პროგრამის შესახებ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ სერვის ცენტრიდან (info@enterprise.gov.ge) ან ვებგვერდიდან, მონაწილე ფინანსური ინსტიტუტიდან, ან სხვა წყაროებიდან.

შემდეგ მცირე და საშუალო მეწარმე განაცხადით მიმართავს პროგრამაში მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტს. აღნიშნული, თავის მხრივ, განსაზღვრავს პროექტის პროგრამის პირობებთან თავსებადობას, განახორციელებს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მიმართულებების სკრინინგს, დაამტკიცებს სესხს და სესხის გაცემამდე გადააგზავნის განაცხადს, დამტკიცებული სესხისა და მოთხოვნილი გარანტიის მოცულობის მონაცემით სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით მეწარმეობის დეპარტამენტში შემდგომი განხილვის მიზნით.

სააგენტო უზრუნველყოფს მონაწილე ფინანსური ინსტიტუტის მიერ მოწოდებული განაცხადის პროგრამის პირობებთან და კრიტერიუმებთან თავსებადობის დადგენას.

კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ სესხის ძირითადი მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსთვის მიწოდებიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში სააგენტო ადასტურებს ან უარყოფს სესხის ძირითადი მახასიათებლების შესაბამისობას პროგრამის კრიტერიუმებსა და პირობებთან. სააგენტოს დასტურის შემთხვევაში, სესხი ითვლება პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულად.

თუ განაცხადი უარყოფილია, მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტს აღნიშნულის შესახებ ეცნობება.

მონაწილე ფინანსური ინსტიტუტისა და ბენეფიციარს შორის გაფორმდება ხელშეკრულება (მონაწილე ფინანსური ინსტიტუტის და მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის შორის გაფორმებული ხელშეკრულება), რომელიც მოიცავს შემდეგ პირობებს:

1. ტრანზაქციის ფინანსური პირობები, რომლითაც სახსრები მიეწოდება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს, როგორცაა სესხებისა და გარანტიების პირობები, მათ შორის თანხის მოცულობა, საპროცენტო განაკვეთი, ვადა, გარანტირებული თანხა, გარანტიის საკომისიო და სხვა ფინანსური მახასიათებლები).

2. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ვალდებულებები:

ა) შეუჩეროს ან შეუწყვიტოს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებს სესხის ათვისება, ან მოითხოვოს თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნება, თუ მონაწილე ფინანსური ინსტიტუტი ვერ შეასრულებს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს, რომელიც გათვალისწინებულია მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტსა და მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში;

ბ) გამოიყენოს თავისი უფლებები და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტსა და მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ისე რომ დაცული იყოს როგორც სააგენტოს, ასევე მსესხებლისა და ბანკის ინტერესები და მიღწეულ იყოს სესხის მიზნები/პროექტის ნაწილი A.3;

გ) ბანკთან კონსულტაციის გარეშე, არ დაინიშნოს, არ შეიცვალოს, არ გაუქმდეს და არ განხირციელდეს რაიმე ცვლილებები მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტსა და მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დებულებაში, რომელიც წინაღმდეგობაში მოვა აღნიშნულ ჩამონათვალთან.

3. მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმე ვალდებულია:

- ა) განახორციელოს თავისი საქმიანობა პროექტისა და მასსა და მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად: (i) სათანადო გულმოდგინებითა და ეფექტურობით და შესაბამისი ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, მენეჯერული, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად; (ii) მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტსა და მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს შორის გაფორმებული ხელშეკრულების, სასესხო ხელშეკრულების, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების, პროექტის სახელმძღვანელოს, მათ შორის ანტიკორუფციული სახელმძღვანელოს შესაბამისად, და (iii) საჭიროებისამებრ, გამოიყენოს ყველა რესურსი აღნიშნულის უზრუნველსაყოფად;
- ბ) ანგარიშგება და ფინანსური მოთხოვნები: წარმოადგინოს ფინანსური ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა გამოითხოვოს ბანკმა ან სააგენტომ; სააგენტოს და ბანკს მიეცეს უფლება განიხილონ ნებისმიერი რელევანტური ჩანაწერი და დოკუმენტი;
- გ) შესყიდვების მოთხოვნები: მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების შესყიდვების ვალდებულებების გათვალისწინებით;
- დ) მონაწილეობის უფლების შენარჩუნება საჭირო საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესაბამისად;
- ე) მოამზადოს და მიაწოდოს სააგენტოსა და ბანკს ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც სააგენტო ან ბანკი მოითხოვს ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით;
- ვ) ბანკთან და სააგენტოსთან კონსულტაციის გარეშე, არ დაინიშნოს, არ შეიცვალოს, არ გაუქმდეს და არ განხირციელდეს რაიმე ცვლილებები მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტსა და მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დებულებაში, რომელიც წინაღმდეგობაში მოვა აღნიშნულ ჩამონათვალთან;
- ზ) გამოიყენოს თავისი უფლებები და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტსა და მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ისე რომ დაცული იყოს როგორც სააგენტოს, ასევე მსესხებლისა და ბანკის ინტერესები და მიღწეულ იყოს სესხის მიზნები.

4. ორივე მხარის მონაცემთა დაცვის ვალდებულებები, შემდგომში შემუშავებული პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელოში.

4.6.3. სადეპოზიტო ანგარიშის ყოველთვიური ანალიზი

ყოველი თვის 10 რიცხვამდე მონაწილე ფინანსური ინსტიტუტი უზრუნველყოფს თანხის დაბრუნებას სააგენტოს სახელმწიფო ხაზინაში (სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა სრულად არ არის ამოწურული გადეფოლტებული სესხების გარანტირებული ნაწილის ჩამოჭრების შედეგად). დასაფარი თანხა ანგარიშდება წინა

თვის ბოლო დღის მდგომარეობით არსებული ფაქტობრივი პორტფელის შემადგენელი სესხების ძირი თანხების ჯამით.

თუ საგარანტიო ლიმიტები ამოიწურება და საგარანტიო სახსრები სრულად იქნება ათვისებული, სააგენტო უზრუნველყოფს დამატებით საგარანტიო სახსრების გამოყოფას, თუ კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გასცემს ახალ სესხებს. მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებმა უნდა განაგრძონ გამოუყენებელი საგარანტიო თანხების (გადახდის თანხების) დაბრუნება სააგენტოს ხაზინის ანგარიშზე, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით.

4.6.4. მონაწილე ფინანსური ინსტიტუტების მიერ გარანტიის დაფარვა

სააგენტო ამოწმებს მის ანგარიშზე მონაწილე ფინანსური ინსტიტუტის მიერ გადმორიცხული თანხის სისწორეს. ნებისმიერი შეცდომა დაუყოვნებლივ გასწორდება კომერციულ ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

4.6.5. ტრანშებად გადახდა

სესხის ტრანშებად დაფარვის შემთხვევაში, გარანტიის თანხა, ტრანშების პროპორციულად, უნდა განთავსდეს კომერციულ ბანკში სააგენტოს მიერ გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე.

4.6.6. ბენეფიციარის გადახდები გადეფოლტების შემთხვევაში

კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის დეფოლტის შემთხვევაში, სააგენტოსთვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, კომერციული ბანკი მოახდენს სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშიდან ასათვისებელი თანხის ჩამოჭრას.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხის დეფოლტის შემთხვევაში, კომერციული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მისთვის მიცემული საგადახდო დავალების საფუძველზე მოახდენს სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშიდან ასათვისებელი თანხის ჩამოჭრას.

მონაწილე ფინანსურმა ინსტიტუტებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სააგენტოს დეფოლტის შესახებ და მიაწოდონ ინფორმაცია საკრედიტო გარანტიის სადეპოზიტო ანგარიშიდან ჩამოსაჭრელი თანხის შესახებ.

კომერციულ ბანკში არსებულ სადეპოზიტო ანგარიშზე რიცხული ნაშთი არ ექვემდებარება ფისკალური წლის ბოლოს სახელმწიფო ბიუჯეტში უკან დაბრუნებას.

კომერციული ბანკი ყოველი თვის 15 რიცხვამდე უზრუნველყოფს შესაბამისად გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში გამოხატული დეპოზიტის საპროცენტო სარგებლის ჩარიცხვას ხაზინის ერთიან ანგარიშზე. ამასთან,

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ყოველი თვის 15 რიცხვამდე უზრუნველყოფს მის მიერ გაცემულ სესხებზე საკრედიტო გარანტიით სარგებლობის საკომისიოს თანხის ჩარიცხვას ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

4.6.7. კომერციული ბანკების/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ანგარიშგება

სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მონაწილე ფინანსურმა ინსტიტუტმა სააგენტოს უნდა მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია სასესხო პორტფელის შესახებ, სესხის დაფარვების, ვადაგადაცილებების, დეფოლტისა და რესტრუქტურირებული სესხების შესახებ სააგენტოს საკრედიტო - საგარანტიო სქემის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

ყოველთვიურ ანგარიშებში, თითოეულ სესხზე, მონაწილე ფინანსურმა ინსტიტუტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის ინფორმაცია: გადახდის მიღების თარიღი, პროცენტის გადახდის თარიღი⁵, ძირითადი თანხის ნაშთი გადახდის მიღების შემდეგ და სესხის სტატუსი (მიმდინარე, ვადაგადაცილებული, უმოქმედო, ლიკვიდაცია/თანხის ამოღება). მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებმა ანგარიშში უნდა განიხილონ თითოეული ვადაგადაცილებული სესხი, მათ შორის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაც. კომენტარში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი მონაწილე ფინანსური ინსტიტუტების მიერ განსახორციელებელი შემდგომი ქმედებები ან გირაოს დასაცავად გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი.

4.6.8. სექტორული შეზღუდვები

სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკის გარკვეულ სექტორში (მათ შორის, სექტორში შემავალ ცალკეულ საქმიანობის სახეებში) ან/და რეგიონში სესხების მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში, შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, აცნობოს კომერციულ ბანკებს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს სამომავლოდ კონკრეტულ სექტორში (მათ შორის, სექტორში შემავალ ცალკეულ საქმიანობის სახეებში) ან/და კონკრეტულ რეგიონში საკრედიტო გარანტიის გაცემის შეწყვეტის შესახებ. შესაძლებელია გარკვეულ სექტორებში საქმიანობების შეწყვეტა, თუმცა აღნიშნული არ გამოიწვევს უკვე გაცემული საკრედიტო გარანტიების გაუქმებას.

4.7. განხორციელების სხვა ასპექტები

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ანალიზებს მონაწილე ფინანსური ინსტიტუტების (PFI) მიერ გაცემულ საკრედიტო პორტფელს. სააგენტო ამოწმებს პორტფელის ხარისხს და ადგენს

⁵ ზოგიერთი კრედიტორი იყენებს ფრაზას „დღევანდელი თარიღით გადახდილი პროცენტი“. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვეძებთ პროცენტის ბოლო სრულ დღეს, რომელიც იფარება ბოლო მიღებული გადახდით.

ინდუსტრიულ და გეოგრაფიულ შესაბამისობას. გარდა ამისა, უფლებამოსილების ფარგლებში, აგროვებს და ინახავს დეფოლტის სტატისტიკურ მონაცემებს სექტორებისა და ბენეფიციარების კატეგორიების ჭრილში (იმ შემთხვევაში თუ მსგავსი ტიპის ინფორმაცია ხელმისაწვდომია). სააგენტოს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, როგორც ფინანსური ინსტიტუტებისგან, ასევე, ბენეფიციარებისგან. პროგრამის დაწყების შემდგომ, პროგრამის შედეგების მონიტორინგისთვის, სააგენტოს უფლებამოსილია ყოველწლიურად ჩაატაროს გარე აუდიტი.

4.7.1. კომერციული ბანკები

იმ შემთხვევაში, როდესაც სესხი გარანტირებულია სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მიერ, ის უზრუნველყოფს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხის გარანტიის უზრუნველსაყოფად თანხას (საგარანტიო დეპოზიტის ოდენობა). პროცესი გულისხმობს შემდეგს:

1. სააგენტო უფლებამოსილია ანგარიში გახსნას კომერციულ ბანკში;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, პროგრამით განსაზღვრული ასიგნების ფარგლებში, საკრედიტო გარანტიის უზრუნველსაყოფად ახდენს სააგენტოში ფულადი სახსრების გადარიცხვას, სახელმწიფო ხაზინაში დაშვებული სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ სხვა (არასაბიუჯეტო) შემოსავლების ანგარიშზე არსებული პროცედურების შესაბამისად;
3. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8(ა) პუნქტის საფუძველზე, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, უფლებამოსილია გადარიცხოს საგარანტიო დეპოზიტი კომერციული ბანკის ანგარიშზე. ანგარიშზე დარიცხული პროცენტები წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთრებას და, დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში, ირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და მიმართულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებზე. პროგრამის ფარგლებში არსებული აუთვისებელი ხარჯები განთავსდება ფონდის საერთო ანგარიშზე.

4.7.2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებზე საკრედიტო გარანტიის დეპოზიტის უზრუნველსაყოფად, სააგენტო იყენებს შემდეგ პროცედურებს :

1. სააგენტო უფლებამოსილია გახსნას ანგარიში კომერციულ ბანკში
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, პროგრამით განსაზღვრული ასიგნების ფარგლებში, საკრედიტო გარანტიის უზრუნველსაყოფად, ახდენს სააგენტოში ფულადი სახსრების გადარიცხვას, სახელმწიფო ხაზინაში

დაშვებული სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ სხვა (არასაბიუჯეტო) შემოსავლების ანგარიშზე არსებული პროცედურებისა და პროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტის შესაბამისად.

3. მიკრო საფინანსო ორგანიზაციასა და სსიპ-ს „აწარმოე საქართველოში“ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია პროგრამის ფარგლებში გახსნილი კომერციული ბანკის ანგარიშზე გადარიცხოს საგარანტიო დეპოზიტი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 (ა) და ამავე პუნქტის პირველი ქვეპუნქტის საფუძველზე, რის შედეგადაც კომერციული ბანკი ვალდებულია განათავსოს გარკვეული თანხა შესაბამის ანგარიშზე. ანგარიშზე დარიცხული პროცენტები წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთრებას და ამ დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში ირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომელიც მიმართულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებზე. პროგრამის ფარგლებში არსებული აუთვისებელი ხარჯები უნდა განთავსდეს ფონდის საერთო ანგარიშზე.

4.7.3. პროცენტის გადახდა

კომერციული ბანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, შესაბამისი ინსტრუქციების საფუძველზე, უზრუნველყოფენ საკრედიტო საგარანტიო სქემის დეპოზიტის პროცენტის გადახდას. პროცენტი, რეფინანსირების განაკვეთის ექვივალენტურად, დაირიცხება ყოველდღიურად. იმ შემთხვევაში თუ რეფინანსირების განაკვეთი შეიცვლება, ახალი განაკვეთი ამოქმედდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4.7.4. ფინანსური ინსტიტუტის (PFI) მიერ სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკის მიერ სესხის გარანტირებული ნაწილის ჩამოსაჭრელი ოდენობა

ფინანსური რისკების დაზღვევის მიზნით, რომელიც წარმოიქმნება პროგრამის ფარგლებში ნაკისრი სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კომერციული ბანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შეუძლია თანხა ამოიღოს კომერციული ბანკის დახმარებით, რომელიც ავტორიზებულია გაუწიოს აღნიშნული მომსახურება მიკროსაფინანსო ორგანიზაციას) უზრუნველყოფენ თანხის გარკვეული ოდენობის ჩამოჭრას სესხის გარანტირებული ნაწილის სადეპოზიტო ანგარიშიდან.

ჩამოსაჭრელი თანხის ოდენობა გამოითვლება, როგორც მოთხოვნილი გარანტია სესხის ბალანსზე. არსებული პროგრამის პირობების შესაბამისად, გადაუხდელი სესხი შეიძლება დაკომპენსირდეს მანამ სანამ გადაუხდელი სესხის მთლიანი მოცულობა არ მიაღწევს თითოეული მონაწილე ფინანსური ინსტიტუტისა და სააგენტოს შეთანხმებით დადგენილი სასესხო პორტფელის 35 პროცენტს.

კომერციულ ბანკსა და სსიპ-ს „აწარმოე საქართველოში“ შორის არსებული შეთანხმების თანახმად და სააგენტოს მიერ ჩამოსაჭრელი კუთვნილი თანხის სისწორის დადასტურების შესაბამისად, კომერციული ბანკი უფლებამოსილია მოახდინოს დეპოზიტზე არსებული გარკვეული თანხის ჩამოჭრა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხის შეუსრულებლობის შემდეგ, სესხის აუთვისებელი ნაწილის ავთენტურობის დადასტურებისა და ბანკისთვის შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების შემდეგ, ეს უკანასკნელი ვალდებულია აუთვისებელი თანხა გადაიხადოს სადეპოზიტო ანგარიშიდან და გადარიცხოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შესაბამის ანგარიშზე.

სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომერციული ბანკი/მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოფს შესაბამისი ქმედების განხორციელებას დეფოლტირებული ვალის აღდგენის მიზნით.

4.7.5. დავალიანების ამოღება აღსრულებით: სქემაზე გადარიცხული და საფინანსო ინსტიტუტის მიერ შენარჩუნებული თანხა

არსებული ფულადი ვალდებულების აღდგენის შედეგად შეგროვებული სახსრები ნაწილდება გაცემული სესხის გარანტირებული და არაგარანტირებული ნაწილის პროპორციულად. შეგროვებული სახსრების არაუმეტეს 80 პროცენტი ირიცხება ხაზინის ანგარიშზე, ხოლო დანარჩენი გადარიცხება კომერციული ბანკის/მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ანგარიშზე. რაც შეეხება საპროცენტო ანგარიშსწორების პროგრამის თანადაფინანსების ბენეფიციარებს, ამ შემთხვევაში, შეგროვებული თანხის არაუმეტეს 60 პროცენტი ირიცხება სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე.

სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადარიცხული თანხა, ამ ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად შეგროვებული თანხის გადანაწილების საფუძველზე, არ უნდა აღემატებოდეს კომერციული ბანკის მიერ სადეპოზიტო ანგარიშზე შეგროვებულ თანხას.

მაშინ, როდესაც სესხის უზრუნველყოფად გამოყენებული აქტივები ვერ გაიყიდება, ფინანსური ინსტიტუტის მიერ მოხდება ბენეფიციარის აქტივების დაყადაღება და ისინი კომერციული ბანკის მიერ გაიყიდება სასესხო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების დღიდან არაუგვიანეს ორი წლისა. აღნიშნულის შემთხვევაში, კომერციული ბანკი, ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით, სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ კუთვნილ ანგარიშზე გადარიცხავს სააგენტოსთვის გათვალისწინებული შესაბამისი თანხის ოდენობას.

ჩამორთმეული აქტივები როდესაც ვერ იყიდება, მათი შეფასება მოხდება ხელახლა და კომერციული ბანკი სააგენტოს გადასცემს თავის კუთვნილ თანხას ხაზინის ერთიანი ანგარიშის საშუალებით, აღნიშნული აქტივების სალიკვიდაციო ღირებულების ხელახალი შეფასების მოტივით. კომერციული ბანკი, საკუთარი პოლიტიკის ფარგლებში, ეროვნული ბანკის რეგულაციების შესაბამისად, აკეთებს შეფასებას.

თუ, პროგრამის ფარგლებში, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე არსებული აქტივები უკვე რეგისტრირებულია სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად (იპოთეკა/გირაო), უპირატესობა მიენიჭება კრედიტორების მოთხოვნებს და მათი მოთხოვნები განისაზღვრება კანონით - “საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესახებ”(1997 წ.).

4.7.6. სანქციების რეჟიმი და დასრულება

სსიპ „აწარმოე საქართველოში“, რისკების შეფასების საფუძველზე, უფლებამოსილია პროგრამაში შეზღუდოს ფინანსური ინსტიტუტის ჩართულობა და ამ გადაწყვეტილების თაობაზე, ამავე გადაწყვეტილების აღსრულებამდე მინიმუმ 14 კალენდარული დღით ადრე, აცნობოს შესაბამის პასუხისმგებელ უწყებას. პროგრამის შეწყვეტა ან შეჩერება არ იქონიებს გავლენას არსებულ საკრედიტო გარანტიებზე.

პროგრამა შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნული ვითარებისას, არსებული საკრედიტო გარანტიები ანაზღაურდება საკრედიტო გარანტიის გაცემისთანავე, პროგრამის პირობების შესაბამისად. წინამდებარე პროგრამის განხორციელებით წარმოშობილ ნებისმიერი სახის დავას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოები.

მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებსა და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს გარკვეულ დებულებებს, როგორებიცაა: სესხის მიზნის დარღვევა, არასრული ან არასწორი ინფორმაცია და პროგრამით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები. მონაწილე ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური ქცევის საფუძველზე, ხელშეკრულების ახალი პირობები მოიცავს სანქციებისა და დარღვევების წინააღმდეგ გამოყენებულ უფრო მკაცრ მექანიზმებს. აღნიშნული რეჟიმი სააგენტოს პორტფოლიოს შესაბამისობაში უნდა იყოს და თვისობრივად უნდა განსაზღვროს აქტივების ხარისხის ინდიკატორისათვის სპეციფიკური საზღვრები. აღნიშნული უნდა აისახოს კომპლექსური სანქციების სისტემაზე და უნდა მოიცავდეს როგორც პირველად მაფრთხილებელ მექანიზმს, ასევე სააგენტოს პლატფორმაზე არსებული მაკორექტირებელი გეგმის მოთხოვნას.

პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელოს (POM) სამომავლო ვერსიებში არსებული სტრუქტურა, საჭიროებისამებრ, შეიძლება დაექვემდებაროს კონკრეტულ ცვლილებებს. ზემოთაღნიშნული ფორმატი, სააგენტოს უტოვებს უფლებამოსილებას უარი თქვას აღნიშნული დოკუმენტი ნაკისრ ვალდებულებებზე, შემდეგი მიზეზების გამო:

1. დეფოლტის მაღალი მაჩვენებელი/უმოქმედო სესხის მაჩვენებელი;
2. დანაკარგების მაღალი დონე;
3. არასრული განაცხადების პაკეტი;
4. არასრული საგარანტიო მოთხოვნების დოკუმენტაცია;

5. კვალიფიციური კადრების სიმცირე;

6. გადაჭარბებული კონცენტრაცია ერთ სექტორში ან რეგიონში;

7. გარანტიის გამოყენება აღემატება სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ მთლიანი საქმიანობის XX%-ს, რაც იწვევს გარანტიის სქემისთვის ერთ დაწესებულებაში კონცენტრაციას.

აგრეთვე, სხვა საკითხები, რომლებიც პერიოდულად შესაძლოა დადგეს სააგენტოს დღის წესრიგში.

5. ქვეკომპონენტი 1.4 - COVID-ის ნეგატიური გავლენის შემცირება და გაციფრულების მხარდაჭერა

მოცემული ქვეკომპონენტის ფარგლებში, კონკრეტული აქტივობების დახვეწა და განხორციელება მოხდება პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში, შესაბამისად, პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელო (POM) გადაიხედება სათანადოდ.

ხსენებული ქვეკომპონენტი მხარს დაუჭერს კომპანიებისათვის ტექნიკური დახმარების პროგრამის ჩამოყალიბებასა და უზრუნველყოფას, რათა ხელი შეუწყოს ახალ რეგულაციებთან ადაპტირებას, შესაბამისი მმართველობის, ციფრული და სხვა COVID-ის საპასუხო ქმედებების დანერგვასა და მსგავსი სერვისებისთვის სათანადო ბაზრის შექმნის წახალისებას. აღნიშნულის მიზანია სხვა ქვეკომპონენტებით გათვალისწინებულ ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა, რომელიც მორგებული იქნება კომპანიების საჭიროებებზე ძირითად სექტორებში, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის საფუძველზე. ბოლოდროინდელი გლობალური კვლევები აჩვენებს, რომ კომპანიები პანდემიით გამოწვეული პრობლემების საპასუხოდ ზრდიან მედეგობას ციფრული ტექნოლოგიების დანერგვითა და შესაბამისი პლატფორმების გამოყენებით. მოცემული კომპონენტი ფოკუსირებული იქნება ძირითადი უნარ-ჩვევების იდენტიფიცირებაზე, რომელიც საჭიროა გაციფრულების გასაადვილებლად და პანდემიის საპასუხო ზომების მისაღებად საკვანძო სექტორებში, მათ შორის ქალი მეწარმეების საჭიროებების გათვალისწინებით. ქვეკომპონენტი, ასევე, მიზნად ისახავს საქართველოს კონტექსტში შეაფასოს რელევანტური მენეჯერული შესაძლებლობებისა და დიגיტალიზაციის პროგრამების ჩამოყალიბებისა და მასშტაბის განსაზღვრის მიზანშეწონილობა. ქვეკომპონენტი ხელს შეუწყობს საპილოტე აქტივობებს, რომელიც გულისხმობს საკონსულტაციო მომსახურებებისათვის ადგილობრივი ბაზრის ჩამოყალიბებას. ქვეკომპონენტი მოახდენს აქტივობების საპილოტე სამი მიმართულების დანერგვას, რომელიც გამოკვეთს და ვალიდურს გახდის პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად კონკრეტული ინტერვენციების საჭიროებას. ხსენებულის გათვალისწინებით, სახელმძღვანელო განახლდება და მასში მოცემული იქნება კომპონენტის საბოლოო დიზაინი, ასევე, განხორციელების დეტალების აღწერილობა.

მოდული 1: გაციფრულება 101. აქტივობების პირველი ნაკრები/ნაწილი 1.1 ქვეკომპონენტის ფარგლებში გულისხმობს მიკრო საწარმოების ციფრული შესაძლებლობების გაძლიერებას სასწავლო მოდულების შემუშავების გზით, რომლის თემატიკაც გულისხმობს გაციფრულებისა და COVID-ის საპასუხო ქმედებების მიმართულებებს. ხსენებული გაცნობითი ხასიათის მოდულები (რამდენიმე საათიანი) შინაარსობრივად გაამდიდრებს და შეავსებს უკვე არსებული ბიზნესგეგმის წერის ტრენინგებს, რომელიც ხორციელდება მიკრო გრანტების პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული ტრენინგები შესაძლოა შემუშავდეს და მორგებული იყოს კონკრეტულ სექტორზე, ამასთანავე, მეტი მოქნილობის მიზნით, გათვალისწინებულია ტრენინგები წარიმართოს ონლაინ ფორმატში და ბენეფიციარებს შესაძლებლობა მიეცეთ სასწავლო კურსები გაიარონ დისტანციურ რეჟიმში. მოცემული ტრენინგკურსები შესაძლებელია ხელმისაწვდომი იყოს კონტრაქტორი ორგანიზაციების გავლით, რომლებიც ადმინისტრირებას უწევენ გრანტებს, მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებსა და ინდუსტრიულ ასოციაციებთან პარტნიორობით, ამასთანავე, იმავე მიზნის მიღწევა შესაძლებელია სააგენტოს სოციალური მედიის საშუალებით, რათა დროულად მოხდეს ახალი პრაქტიკის მიკროსექტორის მასშტაბით გავრცელება და დანერგვა.

მიკრო ბენეფიციარებს არ გააჩნიათ ან მხოლოდ მწირი გამოცდილება აქვთ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით მუშაობის კუთხით, შესაბამისად, მსგავსი მიდგომა ხელს შეუწყობს კომპანიებს გახდნენ უფრო ეფექტური და პროდუქტიული, მათ შორის ციფრული გადახდების პროცესების, ონლაინ წარმომადგენლობის, ელექტრონულ კომერციაში ჩართულობის, უსაფრთხოების სისტემების გამოყენებისა და სხვა მიმართულებებით. კომპანიები, რომლებიც წარმატებით გაივლიან მოდულებს და გამოხატავენ ინტერესს კონკრეტული ტექნოლოგიების კუთხით შესაძლებელია ჩაერთონ საპილოტე პროგრამაში, რომელიც მხარს დაუჭერს მიკრო მეწარმეებში გაციფრულების სწრაფ დანერგვას.

მოდული 2: გაციფრულება და მართვის შესაძლებლობები მცირე და საშუალო ბიზნესისა და ექსპორტიორი კომპანიებისათვის. აქტივობების მეორე ნაკრები ფოკუსირებული იქნება მენეჯმენტსა და ციფრულ უნარებზე მცირე, საშუალო, ადგილობრივ და ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის. მოცემული ბიზნესები გაიზიარებენ კომპანიების პროფილს, 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების ფარგლებში. ნაგულისხმევია, რომ აღნიშნული მცირე და საშუალო ბიზნესები ფლობენ ციფრული ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის პრაქტიკის საბაზისო დონეს, შესაბამისად, საშუალო ციფრული ტექნოლოგიებისა და მართვის პრაქტიკის შემუშავება კომპანიების საერთო პროდუქტიულობაზე დადებითად აისახება და მათთვის სარგებლის მომტანი იქნება. კონკრეტული სფეროები, რომელიც შესაძლოა მხედველობაში იქნას მიღებული, მოიცავს ბიზნეს მოდელის ძირითად პუნქტებს, როგორებიცაა: პერსონალისა და მენეჯმენტის პრაქტიკები, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ოპერაციული და მიწოდების მენეჯმენტი, ტექნოლოგიური წინსვლა, მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის (CRM) ან საწარმოს რესურსების დაგეგმვის (ERP) სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფა ციფრული აღრიცხვისთვის, პროექტების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნეს ანალიტიკა, ელექტრონული კომერციის პლატფორმა, მარკეტინგული ავტომატიზაცია, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, ექსპორტი და ა.შ.. მსგავსი პროგრამა ხორციელდება დიდ

ბრიტანეთში მთავრობის პროდუქტიულობის გაძლიერების ფონდის - bethebusiness.com-ის მიერ, რომელიც, ასევე, თავს უყრის მნიშვნელოვან ინფორმაციას პროგრამის ეფექტურობის თაობაზე.

პროგრამის ადაპტირება მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას სააგენტოს მხრიდან კომპანიებთან კომუნიკაციის კუთხით, უმეტესწილად, კომერციულ ბანკებთან, ინდუსტრიულ ასოციაციებთან, საექსპორტო პარტნიორების გაყიდვების წარმომადგენლებთან და ა.შ. პარტნიორობით. პროგრამები მსგავსი ტიპის ბენეფიციართათვის აქტიურ ჩართულობას გულისხმობს და ორსაფეხურიან პროგრამას მოიცავს, რომელიც მოიაზრებს ინდივიდუალური კომპანიებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევასა და განსაზღვრული აქტივობებისა თუ საკვანძო მიზნების წარმატებულად განხორციელებას. მასპინძლობის სექტორზე პანდემიის უარყოფითი გავლენის გათვალისწინებით, ტურიზმის სექტორის წარმომადგენელი კომპანიები შეიძლება განისაზღვრონ საპილოტე ობიექტებად, საპილოტე ან მომდევნო ფაზაში შესაძლებელია ჩაერთოს ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებიც/სექტორი.

მოდული 3: ბაზრის განვითარება. აქტივობების მესამე ნაკრები ხელს შეუწყობს დინამიური ბაზრის განვითარებას სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით, მათ შორის, ადგილობრივი ტრენინგის პრაქტიკებისა და ადგილობრივი კონსულტანტების გაძლიერებას. განვითარებად ეკონომიკაში ინფორმაციის ასიმეტრია - სერვისის მიმწოდებლის შეთავაზების, მომსახურების ხარისხისა და მცირე და საშუალო ბიზნესის სპეციფიკური საჭიროებების შესახებ - ხშირად ხელს უშლის მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მომსახურების მიწოდებას გაციფრულებისა და მმართველობასთან დაკავშირებული სერვისების კუთხით. მოცემული აქტივობა შეიძლება დაფუძნებული იყოს მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ ექსპორტიორთა ბაზრის საპილოტე კონკურსისა და შრი-ლანკის ექსპორტის განვითარების საბჭოს პოზიტიურ გამოცდილებაზე. პროგრამის საპილოტე ვერსია გულისხმობდა კონკურენტუნარიან ფიზიკურ ბაზარზე ოპერირებას, რომლის ფარგლებშიც 30-ზე მეტი საექსპორტო სერვისის მიმწოდებელმა ექსპორტიორმა კომპანიამ და კომპანიებმა სასმელი და საკვები პროდუქტების სექტორიდან გამოიყენეს ვაუჩერების სიტემა შესაბამისი სერვისების ტრანზაქციისთვის. ბაზრის სიმულაცია შემუშავდა ინფორმაციის ასიმეტრიის შესამცირებლად და სერვისის მიმწოდებლებისთვის ხელშესაწყობად, მორგებულებიყვნენ ექსპორტიორი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების სამომავლო საჭიროებებს. ყველა კომპანიამ ბანკებს, ინვესტორებს, მსხვილ ექსპორტიორებს, სავაჭრო ატაშეებს წარუდგინა განახლებული ბიზნეს გეგმები, შესყიდული სერვისების რაციონალიზაცია მოახდინა და შესაძლებლობა მიეცა მიეღო ინფორმაციული და საჭირო უკუკავშირი. წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული კომპანიებიდან ხუთმა მიიღო სათანადო ფინანსური რესურსი საკუთარი ბიზნესმოდელების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროგრამა, ასევე, გავრცელდა სხვა სექტორებზეც. საქართველოს მაგალითზე, შესაძლებელია, ხსენებული ბაზარი მოერგოს და ადაპტირდეს საერთაშორისო და ადგილობრივ კომპანიებს შორის პარტნიორული ხასიათის ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ციფრული სერვისებისა და მენეჯერული შესაძლებლობების მიწოდებით ექსპორტზე ორიენტირებული

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, და/ან მიმწოდებელი კომპანიებისთვის ეკონომიკისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან სექტორებში.

6. ქვეკომპონენტი 2.2 - e-KYC და სტანდარტის „იცნობდე შენს მომხმარებლებს“ რეესტრი

ქვეკომპონენტი გამოყოფს ფინანსურ რესურსს ინვესტიციისთვის ჩამოყალიბდეს ელექტრონული ინფრასტრუქტურა და რეესტრი სტანდარტისთვის „იცნობდე შენს მომხმარებლებს“ (KYC), რომელიც დაეფუძნება არსებულ უნიკალურ საიდენტიფიკაციო სისტემას - MyGov.GE სერვისს და იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (PSDA) მიერ მართულ ცენტრალიზებულ ავტორიზაციის სისტემას.

აღნიშნული კომპონენტის ტექნიკურ ნაწილზე პასუხისმგებელი ორგანოა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინაციით და მის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული რეფორმის ხელშეწყობა, ამასთანავე, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ორგანიზება სათანადო დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ შეითავსებს ფიდუციურ ფუნქციებს, მათ შორის შესყიდვებისა და ფინანსური მენეჯმენტის თვალსაზრისით. აქტივობების განხორციელება და სრულყოფა მოხდება მიმდინარე ტექნიკური დახმარების ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის ფარგლებში, დაფინანსებულია ევროკავშირის სატრასტო ფონდის მიერ და შეესაბამება მსოფლიო ბანკის ID4D (იდენტიფიცირება განვითარებისთვის) ინიციატივას. ყველა შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია მომზადდება ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მიერ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, ხოლო სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს შესყიდვებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელით. მოცემული ქვეკომპონენტის ფარგლებში, სააგენტოს გააჩნია ფიდუციური ვალდებულება (შესყიდვები და ფინანსური მენეჯმენტი).

7. ქვეკომპონენტი 2.3 - დაცული ტრანზაქციების რეფორმა

ქვეკომპონენტის ფარგლებში მოხდება ტექნიკური დახმარებისა და ინვესტიციების დაფინანსება შემდეგი მიზნებისთვის: (i) კრედიტის უზრუნველყოფის კუთხით საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესება, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების მიმართულებით (0.6 მილიონი ევრო); (ii) უზრუნველყოფის რეესტრის მოდერნიზაცია, მათ შორის ონლაინ რეესტრის ტექნიკური მახასიათებლების მომზადება და სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა (0.8 მილიონი ევრო); და (iii) მომხმარებლის შესაძლებლობების გაძლიერება (0.3 მილიონი ევრო).

აღნიშნული კომპონენტის ტექნიკურ ნაწილზე პასუხისმგებელი ორგანოა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მის მიზანს წარმოადგენს რეფორმის ხელშეწყობა, ამასთანავე, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ორგანიზება სათანადო დაინტერესებული ისეთი მხარეების ჩართულობით, როგორებიცაა: იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რელევანტური ექსპერტები. ქვეკომპონენტის ფარგლებში, სააგენტოს ეკისრება ფიდუციური ვალდებულებები, შესყიდვებისა და ფინანსური მენეჯმენტის ჩათვლით, როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელს. ყველა შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია მომზადდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, ხოლო სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს შესყიდვებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელით. მოცემული ქვეკომპონენტის ფარგლებში, სააგენტოს გააჩნია ფიდუციური ვალდებულება (შესყიდვები და ფინანსური მენეჯმენტი).

8. კომპონენტი 3 - პროექტის მენეჯმენტი და მონიტორინგი

მე-3 კომპონენტი გულისხმობს პროექტის მართვის, განხორციელებისა და მონიტორინგის საჭიროებების დაფინანსებას. დაფინანსება განხორციელდება შემდეგი დანახარჯების ასანაზღაურებლად: (ა) პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სააგენტოს ხარჯები, მათ შორის საოპერაციო და დამატებითი პერსონალის დაქირავების საჭიროებასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც აუცილებელია პროექტის იმპლემენტაციისათვის და ეხმარება სააგენტოს ფიდუციურ ვალდებულებებს, ასევე, ითვალისწინებს გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) მართვის პასუხისმგებლობებს; (ბ) მონიტორინგისა და შეფასების (M&E) აქტივობები, მათ შორის სამეწარმეო კვლევები და ხარჯები, რომელიც დაკავშირებული იქნება გავლენის შეფასებასთან და (გ) სხვა, ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მხარდასაჭერად.

9. კომპონენტი 4 - გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების კომპონენტი (CERC)

მოცემული კომპონენტი საგანგებო ხასიათისაა, რომლის დაფინანსებაც არაა გათვალისწინებული და გულისხმობს მხოლოდ სათანადო გადაუდებელი ვითარების პერიოდში ამოქმედებას. შესაბამისი კრიზისული ან საგანგებო მდგომარეობის პირობებში, მსესხებელმა შესაძლოა თხოვნით მიმართოს მსოფლიო ბანკს მოახდინოს პროექტის თანხების გადაჯგუფება/გადანაწილება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მხარდასაჭერად. საჭიროების დადგომის შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებების გასატარებლად, კომპონენტის ფარგლებში ათვისებული იქნება გამოუყენებელი სასესხო რესურსი. კომპონენტი შესაძლოა გამოყენებულ იქნას შეჭირვებული და მოწყვლადი ოჯახების დროებითი მხარდაჭერისთვის.

ამასთანავე, კომპონენტ 1-ში ჩამოთვლილი პროგრამების გარდა, მოცემული კომპონენტი შესაძლოა გამოყენებულ იქნას მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისათვის, იმ შემთხვევაში თუ დადგა ლიკვიდობის გადანაწილების სწრაფი საჭიროება. გარდა ამისა, კომპონენტი შეიძლება აერთიანებდეს ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა კომუნალური სუბსიდიების გაცემა და სხვა მოკლევადიანი მატერიალური მხარდაჭერა, როგორც ღარიბი და მოწყვლადი ოჯახებისთვის, ასევე, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. კომპონენტი არ შემოიფარგლება კონკრეტული სექტორით, რეგიონით ან საქმიანობით. გადაუდებელი სიტუაციების განსაზღვრება, ასევე, აქტივობების სია მოცემული იქნება კომპონენტის სახელმძღვანელოში, რომელიც თან დაერთვება მოცემულ დოკუმენტს.

10. გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტი

10.1. შესავალი

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოს (ESF) და კონკრეტულ საპროექტო ინსტრუმენტებს. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებისა და რეაბილიტაციის პროექტის შემთხვევაში, აღნიშნული ინსტრუმენტები მოიცავს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულების გეგმას (ESCP)⁶, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩოს (ESMF)⁷, სამუშაო ძალის მართვის პროცედურებს (LMP) და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (SEP)⁸. ხსენებული სახელმძღვანელოების მიზანია ჩამოაყალიბოს გარემოსდაცვითი და სოციალური განხილვის პროცესი, რათა უზრუნველყოფილი იქნას მსოფლიო ბანკის სესხის მეშვეობით დაფინანსებული პროექტების თავსებადობა ბანკის მოქმედ რეგულაციებსა და მოთხოვნებთან და არ წარმოიშვას მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი სოციალური, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თუ უსაფრთხოების რისკები.

გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის თავი/ნაწილი სააგენტოსთვის „აწარმოე საქართველოში“ განსაზღვრავს პროცედურებსა და განხორციელების მექანიზმებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს (ESF) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული აღწერს მსოფლიო ბანკის სათანადო გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს (ESS) და გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცედურებს,

6 <https://documents1.worldbank.org/curated/en/554881620937082865/pdf/Environmental-and-Social-Commitment-Plan-ESCP-Georgia-Relief-and-Recovery-for-Micro-Small-and-Medium-Enterprises-P173975.pdf>

7 <https://documents1.worldbank.org/curated/en/799061615893026696/pdf/Environmental-and-Social-Management-Framework-ESMF-Georgia-Relief-and-Recovery-for-MSMEs-P173975.pdf>

8 <https://documents1.worldbank.org/curated/en/560061616073664249/pdf/Stakeholder-Engagement-Plan-SEP-Georgia-Relief-and-Recovery-for-MSMEs-P173975.pdf>

რომელიც საგენტოს საშუალებას მისცემს ჩაატაროს გარემოსდაცვითი და სოციალური მოკვლევა, შეფასება, მონიტორინგი და ანგარიშგების პროცედურების განხორციელება.

10.2. პროექტთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები (ESS)

მსოფლიო ბანკი აფინანსებს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერისა და აღდგენის პროექტს. ამდენად, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მიზნები და მოთხოვნები უნდა ვრცელდებოდეს პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ყველა ქვეკომპონენტზე.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური 10 სტანდარტიდან პროექტისთვის რელევანტურია შემდეგი სტანდარტები: ESS1, ESS2, ESS3, ESS4, ESS9 და ESS10:

ESS1. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზეგავლენის შეფასება და მართვა.

ზემოთ ხსენებული სტანდარტი ვრცელდება პროექტის ყველა ქვეკომპონენტზე, რომელმაც შესაძლოა გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენა იქონიოს. მოცემული ქვეკომპონენტები წარმოადგენს სააგენტოს, კონტრაქტორი ორგანიზაციების და მონაწილე ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან ინსპექტირების, მოკვლევის/შესწავლისა და მონიტორინგის საგანს, რათა უზრუნველყოფილი იქნას საქართველოს ეროვნულ გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობასთან, ასევე, ESF-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ეროვნულ კანონმდებლობასთან ან ESMF-თან შეუსაბამობის ან გარემოსთვის, ადამიანებისა თუ თემებისთვის რისკის დადგომის შემთხვევაში, გამოვლენილი იქნება სათანადო ქმედებები და მათი განხორციელების მონიტორინგი მოხდება სააგენტოს მიერ კონტრაქტორებისა და ფინანსური ინსტიტუტების ჩართულობით, საჭიროების შემთხვევაში კი სხვა რელევანტური ეროვნული ორგანოების მონაწილეობით.

ESS2. სამუშაო ძალა და სამუშაო პირობები.

სტანდარტი ვრცელდება პროექტის ფარგლებში ყველა პირდაპირ/უშუალოდ დასაქმებულ და კონტრაქტით დაქირავებულ მუშაკზე. აღნიშნული აერთიანებს პროექტის განამხორციელებელ გუნდს, რომლებიც დასაქმებული არიან სააგენტოსა და ეროვნულ ბანკში, კონტრაქტორ ორგანიზაციებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში. ამასთანავე, ნაგულისხმევია ყველა კონსულტანტი, რომელიც დაქირავებულია პროექტის სათანადოდ განხორციელების მიზნით. პროექტის ბენეფიციარები (MSME), ასევე, ვალდებულნი არიან დაიცვან შრომის ეროვნული კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეკომპონენტის რისკები არსებითი ხასიათისაა, სამუშაო ძალის მართვის პროცედურები (LMPs) შეავსებს ეროვნულ კანონმდებლობას და გარემოსდაცვით და სოციალურ ჩარჩოს, რათა

გათვალისწინებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო ინდუსტრიაზე ორიენტირებული პრაქტიკა სამუშაო პირობების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებიც სპეციფიკურია სამუშაო სექტორისთვის.

ESS3. რესურსების ეფექტურობა, დაბინძურების პრევენცია და მართვა.

დაბინძურების პრევენციასა და რესურსების ეფექტურად გამოყენებასთან დაკავშირებული სტანდარტი პოტენციურად რელევანტურია მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების საქმიანობისთვის 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების ფარგლებში. რისკის იდენტიფიცირებისა და შემამსუბუქებელი ღონისძიებები ინტეგრირებული იქნება ბენეფიციართა სკრინინგისა და შესწავლის პროცესში.

ESS4. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების ფარგლებში იდენტიფიცირებული და მართვადი იქნება სათანადო მოკვლევისა და განხილვის/აუდიტის პროცედურების მეშვეობით. პროექტის ბენეფიციარები სააგენტოსა და ფინანსურ ინსტიტუტებთან გაფორმებული საკონტრაქტო შეთანხმების საფუძველზე იღებენ ვალდებულებას, მიიღონ ზომები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და გამოიჩინონ ნულოვანი ტოლერანტობა სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობის და სექსუალური შევიწროების მიმართ მათი საქმიანობის ფარგლებში. სათანადო ქცევის კოდექსი და საჩივრების მექანიზმი შემუშავებული იქნება სააგენტოს, მისი კონტრაქტორებისა და ფინანსური ინსტიტუტების მიერ.

ESS9. ფინანსური შუამავლები.

1.2 და 1.3 ქვეკომპონენტები აერთიანებს ფინანსურ შუამავლებს. პროექტის ფარგლებში ფინანსური ინსტიტუტები შეინარჩუნებენ გარემოსდაცვით და სოციალური მართვის სისტემას, რომელიც მინიმუმ მოიცავს: (i) გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკას; (ii) მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურებს ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების იდენტიფიცირების, შეფასების და მართვისთვის; (iii) ორგანიზაციულ შესაძლებლობებსა და კომპეტენციებს; ქვეპროექტებისა და პორტფელის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მონიტორინგსა და ანალიზს; და (iv) გარე კომუნიკაციის მექანიზმს.

ESS10. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გამჟღავნება.

პროექტის განმახორციელებელი სუბიექტები, კონტრაქტორი ორგანიზაციები და ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც ჩართულები არიან ბენეფიციარებისთვის თანხების გადაცემაში, უზრუნველყოფენ ინფორმაციის გამჭვირვალებას და სისტემატურად მიიღებენ მონაწილეობას დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაში, პროექტით დადგენილ აქტივობებში მათი ეფექტურად ჩართულობის მიზნით. აღნიშნული მხარეები უზრუნველყოფენ, რომ შესაბამისი ინფორმაცია გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და გავლენების შესახებ დაინტერესებულ მხარეებს დროულად, მკაფიოდ, შეუზღუდავად და სათანადო ფორმით მიეწოდებათ. დაინტერესებულ მხარეებში შესაძლოა იგულისხმებოდეს პროექტზე გავლენის მომხდენი პირები ან სხვა რელევანტური მხარეები.

10.3. შესაბამისი გარემოსდაცვითი ეროვნული კანონმდებლობა

საქართველოში გარემოსდაცვითი შეფასების პროცესი უმეტესწილად რეგულირდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით (EAC). კოდექსი მიღებულ იქნა 2017 წელს და ძალაში შევიდა 2018 წელს.

გარემოსდაცვითი შეფასება გულისხმობს პროცედურას, რომელიც მიზნად ისახავს შემოთავაზებული საქმიანობის პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის იდენტიფიცირებას და შეფასებას გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და მატერიალურ აქტივებზე და დაფუძნებული იქნება შესაბამის კვლევაზე. კოდექსი მოიცავს ორ დანართს, სადაც ჩამოთვლილია კონკრეტული საქმიანობები. კოდექსის პირველ დანართში ჩამოთვლილი აქტივობები წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (EIA) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მიერ გამოცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების⁹ საგანს. აღნიშნულისგან განსხვავებით, დანართ II-ში ჩამოთვლილი კოდექსის საქმიანობები ექვემდებარება ე.წ სკრინინგს. მოცემული პროცედურა მიზნად ისახავს განსაზღვროს, კონკრეტულმა აქტივობამ უნდა გაიაროს თუ არა გარემოზე ზემოქმედების შეფასება, თუ გათავისუფლებულ იქნას ხსენებული პროცედურის გავლისგან (დეტალებისთვის გადადით შემდეგ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=7>). საქმიანობა, რომელიც არ ექვემდებარება გარემოსდაცვით შეფასებას, უნდა შეესაბამებოდეს სათანადო ეროვნულ გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგულაციებს.

გარემოსდაცვითი შეფასების ძირითადი საფეხურები მოიცავს:

- სკრინინგს;
- სამუშაოს მოცულობის განსაზღვრას;
- დევლოპერის ან კონსულტანტის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას;

⁹ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არის EAC-ის მე-13 მუხლის შესაბამისად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოადგენს EIA-ს დაქვემდებარებული აქტივობების/პროექტების განხორციელების წინაპირობას (დანართი I, EAC-ის აქტივობები/პროექტები).

- საზოგადოების ჩართულობას;
- საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განხილვას;

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დადებითი ან უარყოფითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას და უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში საქმიანობის განხორციელების ნებართვის შეჩერებას.

10.3. მოქმედი ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

საქართველოში გარემოსდაცვითი შეფასების პროცესი ძირითადად რეგულირდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით (EAC). EAC 2017 წელს მიიღეს და ძალაში 2018 წელს შევიდა.

გარემოსდაცვითი შეფასება არის პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს შემოთავაზებული საქმიანობის პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების იდენტიფიცირებას და შეფასებას გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, კულტურულ მემკვიდრეობასა და მატერიალურ აქტივებზე შესაბამისი კვლევის საფუძველზე. კოდექსი მოიცავს ორ დანართს საქმიანობის ჩამონათვალით. EAC-ის I დანართში ჩამოთვლილი ქმედებები ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (EIA) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებას,¹⁰ რომელიც გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MEPA) მიერ. პირიქით, დანართ II-ში ჩამოთვლილი EAC-ის საქმიანობა ექვემდებარება განხილვას. ეს პროცედურა მიზნად ისახავს განსაზღვროს, გაივლის თუ არა აქტივობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, თუ გათავისუფლდება ამ პროცედურისგან (დეტალებისთვის იხილეთ EAC of Georgia <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=7>). საქმიანობა, რომელიც არ ექვემდებარება გარემოსდაცვით შეფასებას, უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის ეროვნულ გარემოსდაცვითი ინჟინერიის რეგულაციებს.

10.4. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური მოწყობა

პროექტის ქვეკომპონენტებზე მოქმედი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სრული ანგარიშვალდებულებისა და მართვის უზრუნველსაყოფად, სააგენტო პასუხისმგებელია პროექტის ფარგლებში დაფინანსებული აქტივობების კუთხით გარემოსდაცვითი და

¹⁰ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არის EAC-ის მე-13 მუხლის შესაბამისად გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოადგენს EIA-ს დაქვემდებარებული აქტივობების/პროექტების განხორციელების წინაპირობას (დანართი I, EAC-ის აქტივობები/პროექტები).

სოციალური რისკების მართვაზე (ქვეკომპონენტები 1.1., 1.2. და 1.3.). სააგენტო მეთვალყურეობას უწევს კონტრაქტორ ორგანიზაციებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც თავის მხრივ აუდიტს და მონიტორინგს გაუწევენ ქვეკომპონენტის სათანადოდ შესრულებას გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებით. სააგენტო უზრუნველყოფს პროექტში ჩართულ მხარეებს ჰქონდეთ სათანადო ინსტიტუციური მექანიზმები და პროცედურები საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესასრულებლად.

- სააგენტო შეიმუშავებს და შეინარჩუნებს პროექტის შესაბამის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტს (ESMF) და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემას (ESMS).
